



100 ლარი



შარლ
ბოდლეირი

შარლ პოდლერი

100 ლეკსი

ფრანგულიდან თარგმნა

ლელა გაბურმა


გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2024

რედაქტორი: **ამირან არაბული**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2024
© ლ. გაბური

ISBN 978-9941-34-563-0



CHARLES BAUDELAIRE

CENT POÉMES

Traduit du français

Par Lela Gaburi

ალიონი

საყვირები ყაზარმებს ადგომის დროს ამცნობს და
დილის სიო ფარნებზე გრილ ოხშივარს აწვიმებს,
ახლა სწორედ ის დროა, შავკანიან ყმანვილებს
ხროვა უხამს სიზმრების რომ აჯაჭვავს საწოლთან.

როგორც ლაქა წითელი, დღის შუქზე ჩანს ნათურა,
მოძრაობს და კანკალებს, თვალს ჰგავს სისხლით დაფერილს,
სული მძიმე სხეულთან შერკინებით გართულა,
თითქოს ბაძავს ის ჭიდილს ღამის შუქთან ლამფების.

თითქოს სახე შეაშრათ ცრემლით გადანამული
ქარით ანათრთოლები შორს გარბიან საგნები,
კაცი წერით დაღლილა, ქალი კი - სიყვარულით,
აქა-იქა ზმორებით კვამლს უშვებენ სახლები.

ქალებს ფუფუნებაში დამტკბარ- ნასიამოვნებთ,
პირლიებს და ნებივრებს სძინავთ ბრიყვულ ზმანებით,
ლატაკებს კი ათასი სიდუხჭირე ალონებთ,
აღვივებენ მუგუზლებს ყინვით განაწამები.

ხელმომჭირნე ფუსფუსი ამ სიცივეს არ შველის,
მშობიარე ქალები ტკივილებში იწვიან,
გულამოსკვნილ ქვითინს ჰგავს, სისხლის ქაფით გაუღენთილს,
შორით მამლის ყივილი, ჰაერს რომ ჰკვეთს ნისლიანს.

შენობები ცურავენ ზღვა - ბურუსში დახრილნი,
ტანჯვით სავსე ჰოსპისებს თავ-პირი ჩამოსტირით,
ისმის ბოლო ხრიალი, მომაკვდავთა ხროტინი,
მეძავები შინისკენ იჩქარიან დაღლილნი.

მოდის დილა ცახცახით, სენის სანაპიროზე,
მწვანე კაბა ხავერდის ვარდნაფენი მას შვენის
და მუყაით მოხუცს ჰგავს პარიზი ალიონზე,
შრომის იარაღებს რომ იმარაგებს თვალფშვნეტით.



ქერათმიან მათხოვარს

წითურთმიანო, თეთრო გოგოვ, ძველმანი კაბა
თუმც შენს მშვენებას სიღარიბის ძონძებში ახვევს.
ჩემთვის, საწყალი პოეტისთვის, მაგ გამხდარ სახეს,
მაგ ახალგაზრდა და სუსტ სხეულს ჭორფლი რომ ფარავს,
თავისებური აქვს სინაზე და სიტკბოება.

გალანტურად და ლალად დახვალ, მაგ საბოებმა-
მძიმემ, უხეშმა - ვერ დაგატყო კვალიც კი დაღლის,
ასე მსუბუქად არ უვლია ხავერდის წალით
არცერთ დედოფალს რომანისა და სრა-სასახლის.

ზედმეტად მოკლე ძონძის ნაცვლად რომ გცმოდა ახლა
ქუსლამდე ტალღად დაშვებული ბრწყინვალე კაბა,
მაგ დახეული წინდის ნაცვლად, თვალგასახარად
რომ უქცევიათ გარყვნილ კაცებს, თეძოს გიმკობდეს
ოქროს პანია სატევარით შემკული ქობა.

გულისპირზე კი უშნოდ ნაკვანძ ბაფთების ნაცვლად
ეგ მშვენიერი ორი ძუძუ მოჩანდეს ოდნავ,
მაგ თვალებივით, ეგ მკერდიც რომ ბრწყინავდეს ამ წამს,
ჩვენს ცოდვილ ფიქრებს ანდამატურს მატებდეს ბორგვას,

შენი მკლავები გაშიშვლებას ითხოვდნენ ვნებით,
გვინადირებდეს გიუმაჟ ქცევით უხამს პოეტებს –
შენი თითები - წყლის ლამაზი მარგალიტები...
მაშინ შენ გზნებით მოგიძლვნიდნენ ბელლოს სონეტებს,
შენი მშვენებით მონად ჰყოფდი ლექსის მჯდაბნელებს,

უმნითარ სტრიქონს დაგინერდა მრავალი შლეგი,
კიბის ქვეშიდან გაჭორავდნენ შენს ფეხსაცმელებს,
თავს შეიქცევდნენ ლაყბობით და მალული ჭვრეტით...

შეყვარებული შენზე უღვთოდ ბევრი მგოსანი,
მრავალი პაჟი, დიდებული, ბევრი რონსარი,
შენ დაგინყებდა კუდში დევნას და თვალთვალს ფრთხილად,
რათა ეპოვნა შენი სახლი და შენი ბინა.

და დაგიფენდნენ ფერად შრომნებს ფეხებთან როცა,
შრომშანზე მეტი გექნებოდა საწოლში კოცნა,
გულებს აქცევდი შენი ტრფობის მონად და მძევლად,
მრავალ ვალუას გაიხდიდი თაყვანისმცემლად.

მაგრამ დღეს სხვაა შენი ყოფა, რომელსაც უძლებ,
გადმოგდებული ლუკმა-პურით სხვები გარჩენენ,
გზაჯვარედინზე, რომელიღაც რესტორნის ზღურბლზე,
ხელგაშვერილი მათხოვრობ და ეძებ ნარჩენებს.

მალულად უმზერ და სურვილის შენიღბვა გიჭირს,
ბიუუტერიას, რომელიც ღირს ოცდაცხრა ცენტი,
ო, მაპატიე, რომ არ ძალმიძს ჩუქება მისი,
თუმცა, კი გატყობ, რომ ოცნება არა გაქვს მეტი.

იარე, ეგრე! ბრილიანტი სულაც არ გქონდეს,
სხვა მორთულობას ვერ იგუებს შენი ცხოვრება,
ო, მშვენიერო, დაე, მუდამ ასე გამკობდეს,
მწირი სიშიშვლე და მარტივი უბრალოება.

საღამოს ბინდი

აი, მომხიბვლელი საღამო,
ყველა დამნაშავის მეგობარი,
ის მოდის, რომ ჩუმად გაგანდოს
გულისთქმა, გულიდან მზე რომ გადის.

და ცა იხურება - აკლოვი
- მეტრფეთა შეხვედრის ადგილი,
კაცს კი მოთმინება არ ჰყოფნის,
იცვლება, როგორც ტყის ნადირი.

საღამოვ, გულთბილო, საღამოვ,
შენ გნატრობს მკლავები იმ კაცის,
ვინც იტყვის ტყუილის გარეშე:
- ო, დღეს მე დაღლამდე ვიღვაწე!

ეს არის საღამო, რომელსაც
ვით ნუგეშს და შვებას ელიან,
ველური ტკივილით შთანთქმული
სულები, ისინი ბევრია...

მეცნიერს ჯიუტი შუბლი რომ
დაღლია და დამძიმებია,
ან მუშა, საწოლში მოხრილი
რომ გელის, არ დასძინებია.

თუმცალა, სად არის სიმშვიდე,
ჰაერში დემონი დაძრნიან,

საქმიან ხალხივით ისინიც
ერთ ალაგს არასდროს არ ზიან.

მძიმედ იღვიძებენ და მერე
დარაბებს, ჩარდახებს უვლიან,
დაფრენენ და აკაკუნებენ,
მათ ჩვენთან შეხვედრა სწყურიათ.

ქარით გაბეზრებულ სუსტ შუქზე,
ბრჭყვიალებს, დუღს პროსტიტუცია,
როგორც ჭიანჭველას მიწაში,
ჩანს, გზების გაკვალვაც უცდია.

ვით მტერი ოკულტურ სამოსში,
რომ ცდილობს გაგარტყას შენ ხელი,
ის უხამს ქალაქის წიაღში,
დაფრინავს და გაკრთობს შეხებით.

აქა-იქ სტვენა და გუგუნი,
მზარეულს ქვაბის ხმა მოესმის,
ქალაქი სავსეა ქაოსით,
გაჰკვივის თეატრი, ორკესტრი.

ქუჩის სათამაშო მაგიდა
აგიუზებს, ახელებს მნახველებს,
და იქვე ჯიბგირებს, მეძავებს,
შეხვდებით, ვით თანამზრახველებს.

ქურდები იწყებენ საქმეს და
არა აქვთ ზავი და დანდობა,
იხსნება კარები, ყუთები
და ასე გრძელდება გართობა.

ო, სულო, ო, ჩემო მეუფევ,
ამ მძიმე წუთებში გონს მოდი,
ყური არ ათხოვო ამ ღრიალს,
ამ კივილს გაუძელ ბოლომდი.

ის დროა, სნეულებს სიბნელე
ყელში რომ მარწუხებს მოუჭერს,
საერთო უფსკრულში გადაყრილთ,
მათ მიწა ყველა სენს მოურჩენს.

ერთხელაც, იქნება გვიანი
სალამო და სევდა გადმოვა,
ცხელი რომ მიიღოს წვნიანი
ამ ცეცხლთან არავინ არ მოვა.

არ მოვა, რადგანაც ეს სიტკბო
ბევრ მათგანს საერთოდ არ ახსოვს,
არასდროს ჰქონია კერია,
არც სახლი ჰქონია არასდროს.

კაეშანი

მოგონებები იმდენი მაქვს, თითქოს ამქვეყნად
ათასი წლის წინ დავიბადე - შლეგი და ურჩი.
დიდი კარადა - გაჭედილი მრავალი უჯრით,
ათასგვარ ქალალდს - ლექსებს,
ქვითრებს ერთად რომ იტევს,
თმები ჩანალული სამახსოვროდ მიჯნურის ბარათს,
ვერ შეინახავს საიდუმლოს, მერწმუნეთ იმდენს,
რამდენსაც სევდით დაზაფრული ეს ტვინი მაღავს.

ეს არის უცხო პირამიდა დიდი სარდაფით
და ასვენია მის წიაღში იმდენი გვამი,
რომ შეშურდება კომუნალურ სასაფლაოსაც.
მე ვარ სამარე - მთვარეს ვძულვარ, სხივით არ მმოსავს,
ვით სინანულზე მინიშნება, ანაზდეულად
მატლები ხრავენ ჩემთვის ძვირფას მკვდართა სხეულებს.

სავსე ვარ - ძველი ბუდუარი - მჭკნარი ვარდებით,
ჩემში ქაოსი ან გარდასულ ჟამს მოგაგონებთ,
ბუშეს* მკვნესარე პასტელები, მკრთალი ლანდები,
მარტოდმარტონი აქ სუნთქავენ ღია ფლაკონებს.

კოჭლ და ხეიბარ დღეებს არ აქვთ აქ დასასრული,
როცა თოვლიან წლების მძიმე ფარტენა ანევს
მოწყენილობას, ნაყოფს პირქუშ, გულგრილ წარსულის
და უკვდავებაც აღარ არის მეტი ამაზე.

* ბუშე - ფრანსუა ბუშე (1703-1770) ფრანგი მხატვარი

- ამიერიდან შენ აღარ ხარ ცოცხალი, შესდექ!
შენ ჰგავხარ გრანიტს, შემზარავი ტალღებით სავსეა,
რომელსაც სძინავს ნისლიანი საპარის ფსკერზე.
და იმ მოხუც სფინქსს, გვერდს რომ აქცევს
უდარდელ ყოფას,
სამყაროს, დიდხნის დავიწყებულს ყველა რუკაზე,
რომელსაც დარდით დამძიმებულ, სასტიკ განწყობას,
მხოლოდ ჩამავალ მზის სხივებზე მღერა უქარვებს.



კაეშანი

როცა ცა დაბალი და მძიმე ხუფივით,
აწვება მტაცებლის სულს ჩემში მკვნესარეს,
როს ყველა ჰორიზონტს ნაღველი მუდმივი
ეხვევა მოწყენილ, ბნელ დღეთა მთესველი.

და როცა ნესტიან საკანს ჰგავს სამყარო,
იმედი ასკდება კედლებს, ვით ლამურა,
არ იცის, მორცხვი ფრთა რომელ ქვას ახალოს,
თავს ურტყამს დამპალ ჭერს, დარდად რომ ახურავს.

წვიმა როს ლვარებად დატოვებს ნაკვალევს,
მაგონებს ეს კვალი ციხის ვრცელ გისოსებს,
ფარა ობობების ტვინისკენ მიცოცავს
და აბამს იქ ქსელებს მზაკვრული სიჩუმით.

ზარები უეცრად ატეხენ მრისხანე
ყმუილს და საზარელ ხმას ცისკენ უშვებენ,
ობოლი სულივით თითქოს ბედს კიცხავენ,
ჯიუტად ჩივილს და გოდებას იწყებენ.

და კატაფალკების გრძელი, თალხი რიგი
მუსიკის გარეშე – მე მუდამ თანა მდევს,
იმედი მარცხდება და ტანჯვა სასტიკი
ჩემს თავის ქალაზე შავ დროშას ამაგრებს.

კაეშანი

მე ვარ როგორც მარტოსული, წვიმიანი ქვეყნის მეფე,
ვარ მდიდარიც და უძლურიც, ახალგაზრდაც და მოხუციც,
ვინაც, თავის აღმზრდელთაგან

თავმდაბლობას ქედს არ უხრის,
ვისაც ძალლებით გართობა
სულ არ უქრობს სევდა- წუხილს...

აღარც ქორ-შევარდენი და არც ნადირი ახალისებს,
აივნის წინ დახოცილებს არად აგდებს მის ხალხს ისევ,
აღარ ართობს არც ბალადა გროტესკული მასხარასი,
ეს სასტიკი ავადმყოფი შუბლს არასდროს აღარ გახსნის.

და საწოლი „ფლორ-დე-ლიზე“ მისთვის უკვე სამარეა
იმ ქალებმა, რომელთათვის ყველა პრინცი ლამაზია,
არ იციან უკვე როგორ გაიპრანჭონ უფრო ურცხვად,
რომ ამ ახალგაზრდა ჩონჩხმა გაიღიმოს, აღარ სწუხდეს.

მეცნიერმა, რომელიც მას ოქროსაგან აკეთებდა,
ვერ შეძლო მის არსებაში ის დეტალი მოეკვეთა,
რაც გაფუჭდა, დაზიანდა და უქცია ყოფნა სევდად.
თავის სისხლის აპანოში რომაელთა დანატოვრად,
ძველ დროიდან რაც ახსოვდა ყველა ძლიერს ამა სოფლად,
მან ვერ შეძლო რომ გაეთბო ეს გაბრუებული გვამი,
რომელშიაც სისხლის ნაცვლად
ლეთის მწვანე წყალი დადის.

სასჯელი ამპარტავნებისთვის

იმ საოცარ დროს, როცა მთელი ნიჭით და ძალით,
ჰყვაოდა ქვეყნად ღმერთის რწმენა და სასოება,
გამოჩენილმა მეცნიერმა თავისი სწავლით
არაერთ უბირს აუხილა ბნელი გონება.

სწორედ ამ ბრძენკაცს, ვინც ასწავლა უგნურებს ფიქრი,
ვინც ამა სოფლად მიაღწია სახელს, დიდებას
და გადაკვეთა ბილიკები შეუცნობს იქით,
სადაც განწმენდილ, უკვდავ სულთა ყოფნა იწყება,

მოულოდნელად, დაეუფლა უცხო რამ განცდა:
პატივ-დიდებამ და სიმაღლემ თავზარი დასცა
და სატანური სიამაყით ალვსილმა უცებ,
წამოიძახა, შიშნარევი სიგიურის ზღურბლზე:

„სად ხარ, იესო, პატარა ხარ, პატარა ახლა,
ეს მე ვარ, ვინც შენ ფრთა შეგასხა, გიბიძგა მაღლა
და რომ მინდოდეს თავს დაგესხა, ჩაგაგდო დაბლა,
შენი სირცხვილი შენს დიდებას გადასწონიდა.
სხვა არაფერი იქნებოდი, თუ არა სუსტი
და სასაცილო ჩანასახი, სიკვდილს რომ უცდის!“

როგორც კი ეს თქვა, მყის ლვთის სულმა ის დაბლა დასცა
და მეყვესეულად მას წაერთვა გონი და ცნობა,
სადაც მზე ბრწყინავს, იქვე გლოვა იწყება კაცთა,
ბრძენი შეიპყრო ქაოსმა და წყვდიადმა აზრთა.

მისი წიაღი - წესრიგით და სიმდიდრით სავსე,
სადაც ოდესლაც სიცოცხლე და პატივი დუღდა,
ჩაკეტილ სარდაფს დაემსგავსა, ბნელსა და მწუხარს,
დაინგრა ჭერი, პომპეზურად რომელიც ქუხდა.

ბოლოს ქუჩის მხეცს დაემსგავსა წანწალით დაღლილს,
ნახმარ ნივთივით ჭუჭყიანი, მახინჯი იყო,
ზაფხულს და ზამთარს ვერ არჩევდა, არ ჰქონდა სახლი,
იქცა ბავშვების მასხარად და მათ საქილიკოდ.



არყოფნის გემო

შენს ბნელ გონებას, ოდესღაც რომ ბრძოლა უყვარდა,
იმედს, რომელიც დეზს გკრავდა და უინს გილვივებდა,
აღარ სურს შენთან ჯირითი და სირცხვილს ნულარ ჭამ,
დაწექი, სადმე დაიძინე სიზმრის იმედად,
ბებერო ცხენო, ყველა ბორცვს რომ ფეხს ჰკრავ ბორძიკით.

ბედს დამორჩილდი, გულო ჩემო, იძინე უხმოდ,
დამარცხებული, გადაღლილი თავი არ გვემო,
ძველო მძარცველო, ვნებისა და გრძნობების ქურდო,
ხედავ სიყვარულს აღარა აქვს ის ძველი გემო.
დიდი გრძნობიდან ბოლოს დიდი კამათი რჩება.

დაემშვიდობე მწველ სიმღერებს, ფლეიტის კვნესას!
სიამოვნებას რაღა მოგგვრის, ლამის გკლავს დარდი,
ის გაზაფხული, თვალწარმტაცი ელვად არ კვესავს,
დრო წუთი-წუთზე გაქრობას და შთანთქმას გიქადის.

ისე ვით თოვლი გაყინული მე ვხდები ტლანქი,
ზემოდან დაცქერ დედამინას, სიმრგვალეს მისას,
თავშესაფარი არა მაქვს და არც ვეძებ ბინას,
ზვავო, მოდი და გამიტაცე, თუ ასე გინდა!

ფლაკონი

არის ამქვეყნად სურნელები ისე ძლიერი,
შუშის კედლებსაც გაივლიან, ვით ბადეს ცხაურს,
აღმოსავლურ სკივრს თუ წააწყდით, ძველი იერით,
საკეტი მისი, რომ გამოსცემს ჭრაჭუნს და ხმაურს.

ანდა მიგდებულ კარადაში, დაცლილი სახლის
უამთასვლის მტვერი და სიბნელე რომელსაც ავსებს,
ზოგჯერ ძველ ფლაკონს იპოვნი და როდესაც გახსნი,
ამოიფრქვევა ცოცხლად ხსოვნა ძველ დროის წამსვე.

თითქოს შიგ თვლემდა მოგონება, ფიქრი ათასი,
თრთოდა უკუნში უნაზესი პეპლების გუნდი,
ამოიშალნენ, გაისწორეს ფრთები ფარფატით,
ფერით ლაუვარდის, ვარდმინანქრის, ფერით ზურმუხტის.

აი, ეს არის მოგონება, რომელიც გნუსხავს,
ამღვრეულ ჰაერს გიფრიალებს, გიხუჭავს თვალებს,
თავბრუს გახვევს და დამარცხებულ

შენს ცოდვილ სულსაც
ადამიანურ მიაზმების უფსკრულში აგდებს.

იგი მიწას თხრის უძველესი სამარხის კართან,
სადაც ლაზარე უკვე დალპა და ცხადად ხედავ
ჰერა მოძრაობით გაღვიძებულ ლანდსა და ცხედარს-
ძველ სიყვარულის, რომ გახუნდა და დასამარდა.

როცა მეც ასე დამკარგავს დრო ხსოვნაში კაცთა,
ბნელი კარადის ერთ კუთხეში როს მიმაგდებენ,
როგორც ძველ ფლაკონს -
ბლანტს, დაბზარულს, მტვრიანს და ზედმეტს,

უმალ ვიქცევი მე შენს კუბოდ, დიდხანს არ გასტანს,
კეთილო მავნევ, შენი ძალა და ბოროტება,
ანგელოზების შექმნილი ხარ, ძვირფასო შხამო,
ო, ჩემი გული შენით ცოცხლობს, კვდება შენს გამო!



მკვლელის ღვინო

გავთავისუფლდი წამებისგან... ცოლი მომიკვდა,
გავილეშები...იმდენს დავლევ, რამდენიც მინდა.
როცა შინ მოსულს ერთი ცენტიც კი ვერ მომქონდა,
ნერვებს მაგლეჯდა მისი ჩხუბი, მისი ქოქოლა.

ბედნიერი ვარ, როგორც მეფე, დროა ზღაპრული,
ცინცხალ ჰაერით, კრიალა ცით ისევ ვივსები,
მახსოვს მაშინაც ამნაირი იდგა ზაფხული,
როცა მე იგი შემიყვარდა თავდავიწყებით.

საზარელ წყურვილს, მე რომ მტანჯავს, მოვიკლავ რითი,
ამას არ უნდა ბევრი განსჯა და ბევრი ფიქრი,
მისი საფლავი რომ დაიტევს იმდენი ღვინით,
ეს ბევრ რამეზე მეტყველებს და არ არის ცოტა.

მე ის ჭის ფსკერზე ჩავაგდე და იქ ღრმად ჩავმარხე,
თანაც ზედ ქვები დავაყარე, რაც ვნახე ირგვლივ,
მას დავივიწყებ, თუ შევძელი! და ფიცს გამხელილს,
ჩვენი ალქმების, ჩვენი ნაზი გრძნობის სახელით,

რასაც ვერავინ დაგვაშორებს უკვე ვერასდროს
და ისევ ჩვენი კავშირისათვის, რაც მსურდა ძალზე
ვით ჩვენი ტკბობის, ჩვენი თრობის უწინდელ დროში,
შეხვედრა ვთხოვე ერთ საღამოს, სადმე ბნელ გზაზე...

და ის მოვიდა პაემანზე! გიუი არსება!
(ალბათ ჩვენც, ყველას, მეტ-ნაკლებად, გიუები გვეთქმის!)
ლამაზი იყო ჯერ კიდევ და თან დალლა სდევდა,
მე ის მიყვარდა, ამიტომაც ვუთხარი სევდით:

„ჯობია, მოკვდე!“არვის ძალუძს ჩემი გაგება.
რას გამიგებენ ეს სულელი, ყბედი ლოთები,
მათ ამ სნეული ღამეების არა უნდათ რა,
ერთსაც კი აზრად არ მოუვა მსგავსი ბოდვები,
რომ ლვინისაგან გააკეთოს მკვდრისთვის სუდარა.

ეს ნაძირლები მაგონებენ რკინის მანქანებს,
რადგან არასდროს, არც ზაფხულში და არც ზამთარში,
არ განუცდიათ სიყვარულის გზნება აქამდე
თავისი ბნელი ჯადოქრობით ვნებით, განგაშით...

მათ ჭეშმარიტი სიყვარული არასდროს ერგოთ,
არ განუცდიათ, არ იციან ეს საზღაური,
არც შხამიანი ფლაკონების, ცრემლების გემო,
არც ჯოჯოხეთურ ჯაჭვების და ძვლების ხმაური...

და ახლა აქ ვარ -მარტოსული, თავისუფალი,
მე ამ სალამოს მთვრალი, მკვდარი მინდა რომ ვიყო;
არც სინანული და არც შიში არა მაქვს რამის,
სადმე ძალლივით მივწვები და ვიძინებ ლამით.

გადამიაროს შეიძლება სხეულზე ამ დროს
ქვით და ტალახით დატვირთულმა ურმის ბორბლებმა,
ანდა ვაგონმა გაჩეჩქვილი თავი გამაძროს,
შუაზე გამჭრას ... სულერთია, თუ რა მოხდება.

არ მენაღვლება არაფერი, არ მსურს არცერთი:
ღმერთი იქნება, ეშმაკი თუ წმინდა ტრაპეზი.

მე ვუმღერ შენს თმას...

ო, რარიგ გშვენის ჩახვეული თმა საყელომდე !
ო, კულულები! ო, სურნელი უდრტვინველობის,
მკვლელი ექსტაზი! ამ საღამოს უნდა ველოდე
რომ ამ ბნელ ოთახს ის აავსებს მოგონებებით.

მინდა მაგ თმებში ჩაძირული ხსოვნა ვნებების
გამოვალვიძო და ჰაერში ავაფრიალო!
აფრიკის ალმურს და აზიის სილალეს იტევ,
შენს სურნელოვან უღრანებში სამყარო ცხოვრობს,
ო, ჩემო დიდო სიყვარულო, მუსიკის რიტმზე,
ლანდივით შენსკენ მოვცურავ და შენ მსურხარ მხოლოდ.

მე წავალ იქით, ხეს და კაცსაც სად გზნება თანგავს
და იბნიდება დიდხანს მწველი ხურვებით სავსე,
ო, ნაწნავებო, გთხოვთ იყავით მღელვარე ტალღა,
რომ მომხიბლავს და უგზო-უკვლოდ შორს გამიტაცებს!

შენა ხარ შავი, ტროპიკული ხე აპანოზის,
თვალისმომჭრელი, მშვენიერი ოცნების ბუდე,
ერთიანდება შენში შავი ზღვა და ტაროსი,
ანძები, ცეცხლი, იალქნები, ნიჩბები, ზღუდე...

ნავსაყუდელი შენ ხარ ჩემი, რომ მათრობს მწყურვალს,
სად ჩემი სული უხვად იწოვს ხმას, ფერს და სურნელს,
ეგ სისხლძარღვები ოქროსა და მუარში ცურავს,
ფართოდ გახსნილი მკლავები კი მიამებს ურვას.

როცა ისინი მე სურვილით გულში მიკრავენ,
როცა დიდებას პოეტისას და მის იარებს
იზიარებენ... ეს პატივია, შეხებაა წმინდა ცის შუქთან,
სადაც მარადი, ღვთაებრივი სითბო ტრიალებს.

ჩავიძირები ვწებით მთვრალი ამ ოკეანის
შავ უფსკრულებში, სადაც ვიცი, სხვა იმალება,
რომ იქ ხელახლა გიპოვო და ისევ გეფერო,
ო, ნებიერავ - ნოყიერო, მაცოცხლებელო,

და დაგარწევენ ალერსიან, რიტმულ რხევებით,
მოდუნებული ჩემი თავი, სული, ხელები.
ხან ლურჯად ვხედავ შენს ფაფუკ თმას,
 მაგ ბნელ ტალავერს,
ცის სილაჟვარდეს მაგონებს და მიბრუნებს სულში,

შენი ხუჭუჭა თმის ჩქერები სურნელს მალავენ,
ქოქოსის ზეთის, კუპრისა და ღვთაებრივ მუშკის.
ო, რა ხანია, ჩემი ხელი შენს თმაში ბორგავს,
სემერავ, ლალით, საფირონით, ბადახშით საკსევ,

მაშ, არასოდეს არ გაექცე ჩემს სურვილს გაწე,
განა შენ არ ხარ ოაზისი, ოცნების ცაზე?
განა შენ არ ხარ ის სასმისი, ანდამატური,
მოგონებებით სავსე ღვინოს ხარბად რომ მასმევს?

ბუები

შავი ურთხელების ქვეშ
მწკრივზე სხედან ბუები
თვალებგაშტერებულნი,
ერთურთს შენაგუებნი.
ნითელ თვალთა კვესებით,
ალარ ახსოვთ მათ ძილი,
უცხო ღმერთებს მოჰვანან
გართულთ მედიტაციით.
დგანან ასე უძრავად,
მზის სხივს არ აჰყოლიან,
ვიდრე დაისადგურებს
ლამის მელანქოლია.
მათი პოზა სწავლაა
სიბრძნის არაქაურის,
რომ სამყაროს მტერია-
მოძრაობა, ხმაური.
მაგრამ აგერ იმ მთვრალ კაცს,
რომ სურს შეცვლა ადგილის,
დააჯერო ეს სიბრძნე
არ იქნება ადვილი,
ამიტომაც მოელის-
მას სასჯელი ნამდვილი.

აკვიატება

დიდო ტყეებო, ტაძრებივით მაშინებთ, მზაფრავთ,
თქვენი ღმუილი ორღანივით ამ გულს შეეხო,
სადაც დაწყევლილ, მარადიულ გლოვისგან მძაფრად,
„უფსკრული!“ ისმის საპასუხო ხროტინი ექოდ...

შენც მძულხარ, მძლავრო ოკეანევ! ეგ შფოთვა, ღელვა,
დამარცხებული კაცის მოჰვავს სიმწრისგან სიცილის,
აურზაურში მაგ ტალღების დაცინვას ვხედავ
და შენს ზვავივით ხარხარს იქით, ქვითინი ისმის.

უმთვარო ღამევ, მე შენ გეტრფი, შენს შავბნელ მკერდზე
სიცარიელეს, სიბნელეს და სიშიშვლეს ვეძებ,
მე არ მჭირდება ვარსკვლავები... წყვდიადი შენი
ის ნახატია, რომ საუბრობს ნაცნობი ენით.

ამ ამღვრეული თვალებისთვის ხარ ბედისწერა,
მე შენში ვპოვებ დაკარგულ და მშობლიურ მზერას.



საფლავი

ერთ მძიმე და ბნელ ლამეს,
ძველ ნანგრევთა გადაღმა,
ქრისტიანი სამადლოდ,
თუ თქვენს სხეულს დამარხავს.

უმანკო ვარსკვლავები
დახუჭავენ თვალებს და
ობობა ქსელს გააბამს,
ზედ საფლავის კარებთან.

აქ ჩამოსხამს გველგესლა
წიწილებს საარსებოდ,
მთელი წელი მოისმენთ,
თქვენს გაკიცხულ თავს ზემოთ-

ავხორცი მოხუცების,
გულისამრევ გართობას,
დამშეული მგლები და
ჯადოქრებიც აქ მოვლენ.

ლამეულ შეთქმულებებს
გაგანდობენ ქურდები.
ამპარტავან სხეულით
მიწას დაუბრუნდებით.

უფსკრული

პასკალს მუდმივად თან დაჰქონდა თავის უფსკრული,
ვაი, რომ მხოლოდ ორწოხია ყველა წადილი,
ყველა ოცნება, სიტყვა, საქმე... სწრაფვა უსრული!
თმა ყალყზე დგება, შიშისაგან ქარი გამივლის.

მაღლა თუ დაბლა, ყველგან სიღრმე... ღორღი და ქვიშა,
სიჩუმე, სივრცე - ტყვედ რომ გაქცევს საშინელების,
ჩემს ღამებში ღმერთის ყოფნა მხოლოდლა ნიშნავს,
რომ ის მიხატავს უწყვეტ კოშმარს გრძნეულ ხელებით.

და მეშინია, მეშინია ძილის იმგვარად,
როგორც აშინებს ადამიანს ღრმა ორმო მიწის,
პირთამდე სავსე საშინელი ხილვების ზვირთით,
საიდან მოდის და სად მიდის, რომ არვინ იცის...

ყველა ფანჯრიდან ვხედავ მხოლოდ უსასრულობას
და ჩემი ტვინიც, ამღვრეული, ხან იქით იწევს...
არარაობის, უგრძნობლობის ჰქლავს შური მძიმე,
ოჳ, ნუ დატოვებ რიცხვების და ყოფნის ამ სივრცეს!

იკაროსის ჩივილი

მეძავთა არცერთ საყვარელს დარდი არ ემახსოვრება,
ყველა მხნეა და მაძღარი, ბედნიერი აქვს ცხოვრება.
მე კი ღრუბლების სატრფო ვარ,
მუდამ ცის კიდეს გაბმული,
მაგათთან ხვევნა - ალერსით მხრები მაქვს ჩამოქანცული.

ეს იმ ვარსკვლავთა ბრალია,
რომ ვერ შევადრი ვერცერთ სხვას,
რომ კაშკაშებენ ზეცაში, მის შორ წიაღში ჩაფლულან,
ჩემს გამოფიტულ თვალებს კი არაფრის ნახვა არ უნდათ,
მხოლოდ მზეების სსოვნა აქვთ, მოგონებებთან შეხება.

ამაოდ მსურდა სამყაროს თავის და ბოლოს მიგნება,
უცნობი ცეცხლის თვალის ქვეშ,
ვგრძნობ, ჩემი ფრთები იმტვრევა.
და ნადგურდება, რადგანაც ეტრფოდა მშვენიერებას,
დაფასება და დიდება, ვიცი რომ მე არ მექნება,

არ უწოდებენ ჩემს სახელს - ამ პატივს მე არ მოველი,
უფსკრულს, რომელმაც მიმსხვერპლა,
საფლავად მექცა რომელიც.

ჰიმნი სილამაზეს

უძირო ციდან თუ ქვესკნელიდან,
ო, სილამაზევ, საიდან ჩნდები?
ჯოჯოხეთური და ღვთაებრივი,
ეგ შენი მზერა სულ მიდგას თვალწინ.
სარგებელი თუ დანაშაული, ნეტავ რა უფრო მეტია შენში,
ვერვინ ამოხსნა, სწორედ ამიტომ
ღვინოს გამსაგავსებს ოდითგან კაცი!
შენი თვალები განთიადია, დაისის სხივის ფერი აქვს ზოგან,
შენი სურნელი, რომელსაც აფრქვევ
ქარიშხლით სავსე სალამოს მოჰვავს,
შენი კოცნები არის წამალი, ხოლო ტუჩები სავსე ამფორა,
გმირი - მშიშარად, ბავშვი-მამაცად,
იქცა უმალვე ვინც გეამბორა.
შავ უფსერულიდან მოდიხარ ნეტავ,
თუ ვარსკვლავების ხომლით ეშვები?
შენს ქალებს ბედი გასაოცარი უკან ძალლივით დაჰყვება მუდამ,
შემთხვევით თესავ სიხარულს ქვეყნად,
უბედურებაც თან გდევს შემთხვევით,
ყველაფერს მართავ, მაგრამ არასდროს
პასუხს არ აგებ მოხდება თუ რამ.
გვამებზე დახვალ, მშვენიერებავ,
ფეხს აბიჯებ და კიდეც დასცინი,
შენს სამკაულებს თან ახლავს ელდა,
კაცს აჯადოვებს და შეჰყრის სწებას,
მკვლელობას უდრის შესაკრავები,
ღილ - კილოები ნატიფი, ძვირი,
მაგ შენს უნაკლო მუცელზე ვნებით და
სიყვარულით სავსე რომ ცეკვავს.

შენსკენ მოფრინავს იგი, სანთელო,
როგორც ხანმოკლე, მწველი ცდუნება,
„მოდი, ვაკურთხოთ ეს ჩირალდანი!“-
გიზგიზებს, ელავს, გეჩურჩულება.
ათრთოლებული შეყვარებული
თავის სატრაფოსკენ დახრილა და ჰეგავს
მომაკვდავს... ისე გაფითორებულა,
ეალერსება თითქოს მის საფლავს.

საიდან მოხველ, სულ არ ვიკითხავ,
ჯოჯოხეთიდან თუ სამოთხიდან
ო, სილამაზევ, დიდო ურჩხულო,
მიამიტობა თუ არ მოგწყინდა,
თუ შენი მზერით, შენი ღიმილით,
აქ გაიხსნება ჩემთვის ის კარი
უსაზღვროების, რომელიც მიყვარს,
დღემდე რომელიც ვერ შევიცანი,
სატანისგან ხარ თუ ხარ ღმერთისგან,
ანგელოზი ხარ თუ ხარ ქალთევზა
ეგ სულერთია, ოლონდაც ვიგრძნო რიტმი,
სურნელი, სულ რომ დამდევს თან,
თუ დაბრუნდები, ჩემო ფერიავ და
დედოფალო, თვალთა ხავერდით
ვერ მოერევა სამყარო ამ სულს -
ამაზრზენი და მძიმე ღამეთი.

შეუვარებულთა ღვინო

დღეს სივრცე ჩვენია, ბრწყინვალე, მაცდური
აღვირის, უზანგის, ღვედების გარეშე,
ღვთაებრივ, ჯადოსნურ ცისაკენ გავცუროთ,
ღვინოში შევცუროთ ცხენდაცხენ თარეშით.

ორი ანგელოზი ვიქნებით შენ და მე,
რომ იტანჯებიან ტროპიკულ ცხელებით,
დილის სილურჯეში ციალს რომ ბედავენ,
და გავყვეთ შორეულ მირაჟს გახელებით!

გონების გრიგალი ერწყმება სათუთად
მსუბუქ დელირიუმს და ფრთებს პარალელურს,
მხარდამხარ მოცურავს, ვხედავ ჩემი მუზა,
აღარც დასვენება, აღარც ზავი უნდა,
მივქრით ოცნებების ნანატრ სამოთხისკენ!



აივანი

მოგონებათა დედავ, მიჯნურთა დედოფალო,
სიამოვნებავ ჩემო, ო, ჩემო ნატვრისთვალო,
გახსოვს ალერსი ჩვენი, რა მშვენიერი იყო,
რა ხიბლი ჰქონდა მწუხრებს, კერას როგორი სიტკბო,
მოგონებათა დედავ, მიჯნურთა დედოფალო!

საღამოების შუქი და ქვანახშირის ცეცხლი,
აივანი და მწუხრი, ფარდად - ვარდების ორთქლი,
შენი კეთილი გული და შენი ნაზი მკერდი,
მარადიულზე მუდამ ჩვენ ვსაუბრობდით ორნი,
საღამოების შუქი და ქვანახშირის ცეცხლი.

თბილ საღამოებს როგორ შვენოდა დაისები,
ძალუმ ფეთქავდა გული, სხვა სიღრმე იყო ცაში,
დავიხრებოდი შენკენ ...სულს თრთოლვით ავივსებდი,
მეგონა შენი სისხლის სურნელს ვსუნთქავდი მაშინ,
თბილ საღამოებს როგორ შვენოდა დაისები.

და მძიმდებოდა ღამე, ჩვენს შორის იდგა ზღუდედ,
ჩემი თვალები ბნელში, გრძნობდნენ შენს თვალის გუგებს,
ვსვამდი შენს სუნთქვას ნდომით,
ვთვრებოდი ტკბილი შხამით!
და ჩემს ხელებში ეწყო შენი ტერფები ღამით
და მძიმდებოდა ღამე, ჩვენს შორის იდგა ზღუდედ.

მე ხელოვნება ვიცი ტკბილ წუთთა გამოხმობის.
ჩემს წარსულს ვხედავ ახლა, შენს მუხლებზე რომ სძინავს,
რაში მჭირდება ძებნა, სხვა სინაზის და თრობის,
შენი ლამაზი ტანის და ტკბილი გულის მზირალს?
მე ხელოვნება ვიცი, ტკბილ წუთთა გამოხმობის

ო, სურნელები ამო, ო, ეს კოცნათა ზღვები,
ულრმესი უფსკრულიდან კვლავ იშვებიან ნეტავ?
ზღვაში განბანის მერე მზე ხომ ამოდის ზევით,
განახლებული სხივით, მოაქვს სინაზე ფერთა,
ო, ეს ალთქმათა გზნება, ო, ეს კოცნათა ზღვები.



მშვენიერი ხომალდი

ნაზო გრძნეულო, მსურს გაგანდო მე საიდუმლო,
მშვენიერების - შენს სინორჩეს აგრე რომ შვენის,
მსურს დაგიხატო შენი ეშხი, სახე საუფლო,
ქალურ სიმწიფეს, სადაც ერწყმის ბავშვობა შენი.

როს მიირწევი ჰაეროვან მაქმანით კაბის,
მშვენიერ ხომალდს ჰავხარ გაშლილ ზღვაში რომ გადის,
რომელიც სავსე იალქანით - მსუბუქად, დინჯად
მიდის და ნარნარ მოლივლივე წყლის ტალღებს სინჯავს.

განიერი და მრგვალი კისრით, ფაფუქი მხრებით,
თავი გიჭირავს მედიდურად, თითქოს თამაშობ,
უცხო გრაციით, მოზეიმე იერით მხვდები,
მერე მიდიხარ, კვლავ შენს გზაზე, მაცდურო ბავშვო.

ნაზო გრძნეულო, მსურს გაგანდო მე საიდუმლო,
მშვენიერების- შენს სინორჩეს აგრე რომ შვენის,
მსურს დაგიხატო შენი ეშხი, სახე საუფლო,
ქალურ სიმწიფეს სადაც ერწყმის ბავშვობა შენი.

და შენი ყელი, აღერილი, როგორც უარი,
ქანდაკ-კარადის დარად დადის და ეშხით ელავს,
თითოს ფარია აბურცვილი ტალღად მუარი,
მცველად რომ უდგას შენი ტანის ელვას და ელდას.

მაცდუნებელი მცველი იგი ვარდისფერ უბის,
ტკბილი საცავი საიდუმლო საგან-ამბავთა,
სავსე ჯადოსნურ ღვინოებით, სურნელით, თრობით,
კაცის ტვინს და გულს რომ ახელებს ორსავ თანაბრად!

როს მიირწევი ჰაეროვან მაქმანით კაბის,
მშვენიერ ხომალდს ჰგავხარ გაშლილ ზღვაში რომ გადის,
რომელიც სავსე იალქანით - მსუბუქად, დინჯად
მიდის და ნარნარ მოლივლივე წყლის ტალღებს სინჯავს.

კეთილშობილი, დახვეწილი შენი წვივები,
მტანჯავენ ბნელი სურვილებით და იმ მსხვერპლს ვგავარ,
ორი ჯადოქრის მსუბუქ ფრენას რომ ეწირება,
თითქოს სასმისში სიყვარულის მიყრიან წამალს.

ქიშპს გაუწევდნენ ეგ მკლავები ყმანვილ გოლიათს,
მოერეოდნენ ტროპიკების პრიალა გველებს,
შექმნა განგებამ სიჯიუტე მათი მგონია,
იმისთვის, რათა მიიზიდონ გულისკენ მეტრფე.

განიერი და მრგვალი კისრით, ფაფუკი მხრებით,
თავი გიჭირავს მედიდურად, თითქოს თამაშობ,
უცხო გრაციით, მოზეიმე იერით მხვდები,
მერე მიდიხარ, კვლავ შენს გზაზე, მაცდურო ბავშვო!

გამოსასყიდი

ორი ყანა აქვს ძე-კაცისას გამოსასყიდად,
ის უნდა მოხნას, ამუშავოს რკინისებრ გონით.

რომ გაახაროს ციცქნა ვარდი თავის ბალისა,
პურის თავთავი მოიწიოს მცირედი, ანდაც,

მან ნაღვინევი, ფითრისფერი შუბლიდან წლობით,
უნდა აწვიმოს მლაშე ცრემლი ორივე ყანას.

მათგან ერთია ხელოვნება, მეორე - ტრფობა.
მით მოსამართლის მრისხანება უნდა დაჯაბნოს,

გული მოიგოს, საშინელ დღეს მკაცრი სამსჯავროს,
როცა მოსთხოვენ, რომ აჩვენოს დანაპირები,

მოსავლით სავსე ბეღელები და ყვავილები,
რომელთა ფორმა და ფერები - ერთხმად, ურყევად,
ანგელოზების მოიპოვებს ხმას და კურთხევას.



პეიზაჟი

უმწიკვლოდ რომ შევადგინო ეს ჩემი ეკლოგები,
მსურს მეძინოს ცასთან ახლოს, ნამდვილ ასტროლოგივით,
სამრეკლოებს ვუმეზობლო და ვუსმინო ოცნებით,
საზეიმო საგალობლებს აფრენილებს ქარდაქარ.

სხვენში ნიკაპს ჩამოვეყრდნო, დავინახო ტაძრები
თან რომ მღერის, თან რომ ლაყბობს -

სახელოსნოც მოჩანდეს,
ეს მილები, ეს ზარები, ეს ქალაქის ანძები,
და ცის თაღი, მეოცნებე დაშვებული ქუჩამდე..

რა ტკბილია, როცა ნისლში დაბადებას უყურებ
ცის ლაუვარდში ვარსკვლავის და ფანჯარაში ნათურის,
როცა კვამლი მაღლა ადის, დაბლა ტოვებს სახურავს
მთვარის მკრთალი, ჯადოსნური სხივით ზეცა მორთულა.

დავინახავ მე იქიდან წელიწადის ყველა დროს
გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომაც დამთავრდეს,
და ზამთარი როცა მოვა, დარდი თოვლად ელაგოს
არ შევხედავ, მივუხურავ კარებსა და დარაბებს

და ღამეში ავიშენებ ჩემს ჯადოსნურ სასახლეს.
ვიოცნებებ ცის მოლურჯო, უცხო ჰორიზონტებზე,
შადრევნებზე, რომ ტირიან თაბაშირში ჩასმული,
კოცნებსა და იმ ჩიტებზე, რომ მღერიან ტოტებზე
ყველაფერზე, რასაც ჰქვია იდილია ბავშვური.

თუნდაც ჯანყი ბობოქრობდეს ჩემს ფანჯრებთან მთელი დღე
ვერაფერი მაგიდიდან თავს ვერ ამაწევინებს,
ჩავყვინთავ, ჩავიძირები - ფსკერზე სიამოვნების,
გამოვიხმობ გაზაფხულის სულს და ვეამბორები,
გულიდან მზის ამოყვანა, თუკი მართლა მეღირსა
შევქმნი მყუდრო, თბილ გარემოს -
მხურვალე ფიქრებისგან.



მზე

გარეუბანში, ძველ კედლებს სახლის,
მზე გამეტებით მწველ ისრებს ახლის,
თავშესაფარი ფარულ ვნებების
ქოხებს ჰკიდია ყრუ დარაბები
და როცა სასტიკ თავგამეტებით
ქალაქს და მინდვრებს,
მარცვლეულს ნათესს,
მზე ისრებს ჩასცემს,
მეც ვიწყებ ვარჯიშს,
ჩემს უცნაურ ფარიკაობას.

ყველა კუთხეში დავეძებ რითმას,
სადაც ალლო და გუმანი გამწევს.
ზოგჯერ სიტყვებზე, ვით რიყის ქვებზე
წავიბორძიკებ და ძირს ვეცემი,
ხან კი პირისპირ მეჯახებიან
დიდხანს ნანატრი ჩემი ლექსები.

მზე - მზრდელი მამა, ქლოროზის მტერი,
აღვიძებს ლექსებს, ვით ვარდებს მინდვრად,
წუხილს აორთქლებს, ზეცისკენ დევნის,
ტვინს ავსებს ციურ თაფლით და ნექტრით.

სწორედ ის გვაძლევს სიტკბოს, სინაზეს
და ახალგაზრდულ ხალისს და ძალას,
გოგონებივით სიცოცხლით ავსებს
ყველა ხანდაზმულს - ხელჯოხით მავალს.

მისი ბრძანებით მწიფს მოსავალი,
უკვდავ გულებში- უხვად ნათესი,
მზის უკვდავ ნებით ყვავილობს იგი,
არ ჭკნება სავსე მისი ალერსით .

მზე პოეტივით ჩადის ქალაქში,
კეთილშობილს ხდის საგნებს ამაზრზენს
და უგვირგვინო მეფედ ეცნობა
ყველა ლაზარეთს, ყველა სასახლეს.



პარიზელთა ოცნება

კონსტანტინ გაის

ამ დილას თვალწინ მაქვს პეიზაჟი,
მოკვდავის თვალებს რომ არ უნახავთ,
ვხარობ სხეულში ჩაღვრილ მირაჟით,
ვხატავ ბუნდოვან და შორ სურათ-ხატს.

სასწაულებით სავსეა ძილი,
ახირების და უინის საცავი,
მე გავაძევე ამ ტილოს იქით,
მცენარეების ცვლადი ნაზავი.

საკუთარ ნიჭით ამაყი დავრჩი,
მატკბობდა მხატვარს კადრი ნახატში
ერთფეროვნება, თავს რომ იწონებს
მარმარილოსი, წყლის და ლითონის.

კიბეებით და თაღებით სავსე,
ბაბილონივით კრთის სრა - სასახლე
და ჩანჩქერები აუზიაურით
ეცემა მბრწყინავ ოქროს აუზში.

ლითონის კედლებს და ბროლის ფარდებს
ჰგავს წყლის ტალღები, ძირს რომ ეშვება
და თვალისმომჭრელ სინათლეს ბადებს
მიმობნეული ირგვლივ შეფეხბად.

ხეების ნაცვლად კოლონადები,
იარუსებს კი ჩახვეულთ სძინავთ
და გიგანტური ნაიადები,
ერთურთს ქალივით უმზერენ წყლიდან.

ლურჯად იღვრება ნაკადი შორი,
ვარდისფერ, მწვანე ნაპირებს ითვლის,
მილიონ ადგილს ჰქიდია თქორი
და იკარგება სამყაროს იქით.

იქ იყო ქვები ჯერ არნახული
და ჯადოსნური ტალღის ციმციმი,
სარკეებივით ბრწყინვადა მიწყივ,
აირეკლავდნენ რასაც ისინი.

განგის შორეულ ნაპირებიდან
მომდინარს უხმოდ, მშვიდად და მდორედ,
როგორც სიმდიდრეს ლარნაკებიდან,
დაბლა ასხამდნენ ალმასის მორევს.

ამ ჯადოსნური სანახაობის
ავტორი მე ვარ, ვხატე დილამდი,
მე ოკეანე დავიმორჩილე
და გავიარე ძნელი გვირაბი.

და ჩემს ნახატში, თვით შავი ფერიც
ცისარტყელასებრ ჩანდა მჭვირვალი,
სითხემ ჩარჩოში ჰპოვა დიდება,
სხივად აქცია თეთრი კრისტალი.

და სხვაგან არსად მსგავსი ნათება,
არც სხვა ვარსკვლავი, არც მზის ნასახი,
ამ სასწაულთა დასაბადებლად,
მე ვარ საკუთარ ცეცხლით დამწვარი!

ეს მე ვარ მერყევ სასწაულს ზემოთ,
ვინც ლივლივებდა მყარად და ურჩად,
მარადისობის მდუმარებაში
გაქრობას, დანთქმას ვინც გადაურჩა.

//

ბოლოს, როცა გავახილე ცეცხლით სავსე თვალები,
დავინახე ჩემი ქოხის სიმახინჯე მტანჯველი
და ვიგრძენი, კვლავ დაიწყო დაწყევლილი წამები,
ათასგვარი საზრუნავით, ყოფის ჭაობს ნაჩვევი.

კედლის საათის ისრები კვლავ უხეშად აძგერდა,
ნუთუ მსგავსი აღტყინება არ მეწვევა აღაროს,
ცას სიბნელე შეერია მგლოვიარე აქცენტით,
დაეფინა კვლავ წყვდიადი დაჩლუნგებულ სამყაროს.



ნისლები და წვიმები

ო, გვიანო შემოდგომავ, გაუღენთილო ტალახით,
ზამთრებო და გაზაფხულო, წლის უძილო დარებო,
მიყვარხართ და ქებას გიძლვნით,
თქვენ ხართ სევდის სანახი,
ჩემს გულს და ტვინს გარს მოავლეთ,
წვიმები არ აკმარეთ,
ნისლიანი სუდარა და ცარიელი საფლავი.

ამ დიდ ველზე, სადაც მუდამ ცივი ქარი თამაშობს,
იქ, სადაც გრძელ დამეებში ფლუგერები დუმდება,
ჩემი სული უკეთაა, ვერ კლავს დროთა თარეში.
ფართოდ გაშლის ყორნის ფრთებს და
გადაიფრენს ლამეში...

მგლოვიარე გულზე ნაზი ქვეყნად სხვა რა მოვძებნო,
მას ხომ დიდხანს ჩასდიოდა ზამთრის სუსხი ღვარებად,
ო, ფერმკრთალო წლის დროებო, ამინდის დედოფლებო,
უფერული სიბნელისთვის რა გაქვთ მუდმივ ხატებად?
ალბათ უმთვარო საღამო და წყვილები მარტონი,
ტკივილის გასაყუჩებლად სახიფათო საწოლი.



სიძულვილის კასრი

სიძულვილი კასრია ფერმკრთალ დანაიდების*, შურისგება შლეგური წითურ, ძლიერ ხელებით, მის ბნელ სიცარიელეს ვერ აავსებს სრულებით მკვდართა სისხლით და ცრემლით სავსე თაიგულები.

დემონი კი ამ ხრამში ხვრელებს თხრის საიდუმლოდ, ათასი წლის ოფლის ღვრით,

კასრს თქვენ სავსეს ვერ ნახავთ
და თუ მხვერპლს გააცოცხლებს, სასტიკია მით უფრო,
სხეულს მკვდრეთით აღადგენს, რომ გასრისოს ხელახლა.

სიძულვილი ლოთია დუქნის ფსკერზე განრთხმული, სასმლის ისევ მიღების გულში ნატვრა უღვივის, ჰელავს ლერნეს ჰიდრასავით** გამრავლების წყურვილი.

მაგრამ ძველი ლოთები სასმელს კარგად იცნობენ, ღვინო მათი მძლეველი - სულ საცდურად იდინებს, სიძულვილსაც ეს ელის მშვიდად ვერ დაიძინებს, მაგიდის ქვეშ ვერასდოროს დაიამებს ტკივილებს.

* დანაიდები – (ბერძ.) მეფე დანაოსის 50 ასული

** ლერნეს ჰიდრა – (ბერძ.) უზარმაზარი გველი, ექიდნესა და ტი-ფონის ნაშიერი

ტკივილის ალქიმია

ვიღაც მწველი გზნებით გავსებს და განათებს,
სხვა შენში პოულობს თავის დარდს და ძაძებს,
ბუნებავ, ერთს ეტყვი; „მკვდარი ხარ!“, ხოლო სხვას:
„იბრწყინე, იყავ და სიცოცხლე განაგრძე!“

უცნობო ჰერმესო! თან მწყალობ ვით არსი,
თან მაფრთხობ, თვალები მუდამ შიშს ებრძვიან,
შენ სწორი გამხადე მითიურ მიდასის,
ალქიმიკოსს ვგავარ - ყველაზე სევდიანს,

შენს გამო მე ოქრო რკინაში გავცვალე,
სამოთხეს ქვესკნელი ვარჩიე სამყოფად,
ძვირფას გვამს წავაწყდი ღრუბლების საფარქვეშ
და ზეცის კიდეზე ვაშენებ სარკოფაგს.



ხმა

ჩემი აკვანი სამკითხველოს ოთახში იდგა
და დაჰყურებდა ბნელ ბაბილონს - წიგნების საცავს,
მეცნიერებას ისურვებდი, რომანს თუ იგავს,
ერთურთს შერეულ
ბერძნულ მტვერს თუ ლათინურ ნაცარს.

იქ ჩვილს მესმოდა მე ორი ხმა გარკვევით ძალზედ,
ერთი მათგანი იყო მტკიცე, უფრო მზაკვარი,
მეუბნებოდა: „დედამიწა არის ნამცხვარი -
სასიამოვნო გემოთი და სიტკბოთი სავსე,
მე შემიძლია, მოგცე მარად სამყოფი მადა,
ისიამოვნებ ერთნაირად, მშვიდად, თანაბრად“.

მეორე ხმა კი ჩამძახოდა: „ მიდი, ჰო! ზღაპრის
იწამე... გასწი ოცნებებში შეუცნობს მიღმა,
შეუძლებელი დაისახე ყოველთვის მიზნად!“
ის მიმღეროდა, როგორც ქარი ქვიშიან ნაპირს,
როგორც მტირალა მოჩვენება, ხმა არსაიდან,
ყურს რომ ალერსით გაგითბობს და შიშით აგიტანს.

მე ვუპასუხე: „ შენ გიჯერებ, დიახ, ტკბილო ხმავ!“
და იმ წამიდან განმისაზღვრა ცამ ბედისწერა,
ვაი, რომ სწორედ იმ წამიდან მექცა ჭრილობად,
შორსმჭვრეტელობა, უცხო ცათა მკაფიო ხედვა,

ხილვა უხილავ სამყაროთა, მსხვერპლი, ექსტაზი,
ფეხსაცმელებით ამაზრზენი გველების თრევა.

წინასწარმეტყველს ვგავარ ბედით, მას შემდეგ მწირი,
ზღვას და უდაბნოს ვეტრფი ისე ნაზად, სათუთად,
მწუხარების დროს ვიცინი და ზეიმზე ვტირი,
მწარე ღვინოში სიტყბოს ვპოვებ, სხვა არცრა მსურდა.
მას შემდეგ ფაქტებს ხშირად ვიღებ, როგორც სიცრუეს,
მზერა ცაში მაქვს და ორმოში ვვარდები ხშირად.

ხმა კი მამშვიდებს: „გაუფრთხილდი ხილვებს, იცოდე,
ბრძენზე ლამაზი ოცნებები ყოველთვის გიუს აქვს.“



სიყვარული და თავის ქალა

ზის სიყვარული კაცობრიობის თავის ქალაზე,
ვით თავხატული, ძველი თავსართი,
უმეცარი და უსირცხვილო ნაღვლობს არაფერს,
ის ზის ამ ტახტზე მკვლელის აზარტით.

ამოისუნთქავს მრგვალ ბუშტულებს დროდადრო ღიმით,
თითქოს აერთებს სამყაროებს ეთერის სხივით
და დედამიწის სუსტი სფერო, უფრო უსუსურს
მაღლა აფრენით ამოანთხევს თავის უძლურ სულს.

და რახანია ისმის თავის ქალას ბუშტებში
კვნესა მარადი, სამდურავი, ლოცვა უშრეტი:
„აღარ მთავრდება? ო, როდემდე ჰეგავდეს განაჩენს,
ეს სასაციკი და სასაცილო ჩვენი თამაში?

მონსტრო, რასაც შენ უსულგულოდ ჰაერში ისვრი,
ჩემი ტვინია, ჩემი ხორცი და ჩემი სისხლი.“



ტყუფილის სიყვარული

როცა მიმავალს გიყურებ, ჩემო ძვირფასო, ჯერაც,
როცა საკრავთა ჰანგები ჭერზე იშლება ჩქერად,
ნელი და ჰარმონიული შენი ნაბიჯი მხიბლავს,
ისევ მატყვევებს ნაღველი შენი ღრმა მზერის მიღმა.

ან როცა ვუჭვრეტ ფერმკრთალ შუბლს,
გაზის ცეცხლი რომ ადგას,
ავადმყოფური სინაზით, მშეენიერებით მორთულს,
მერე საღამოს ჩირალდნებს აღმოსავლეთის კართან,
მიზიდავს შენი თვალები, როცა ჩამოჰგავს პორტრეტს.

და ვფიქრობ: „რა ლამაზია... რა საუცხოოდ მშვენი,“
ერთიანი და ძლიერი, როგორც სამეფო კოშკი,
მისი გვირგვინი და გული, როგორც ნატანჯი ძლვენი,
სიყვარულისთვის შექმნილი, სიყვარულისთვის ნორჩი.

ნუთუ ეს შენ ხარ, ნაყოფი შემოდგომისა, ტკბილი?
შენ ხარ საფლავის ჭურჭელი, რომ აივსება ცრემლით?
ან იქნებ შენ ხარ სუნამო, ოზისების სხივი?
საფერებელი ბალიში, კალათა ყვავილების?

ვიცი, არსებობს თვალები, მელანქოლიის მაცნე,
არ მალავს ძვირფას საუნჯეს, არც საიდუმლოდ დაობს,
არ აქვს ზარდახშა ძვირფასი რელიევიებით სავსე,
ის ღრმაა და ცარიელი, ვიდრე შენა ხარ, ცაო...

შენა ხარ მეტად ლამაზი და ეს სრულებით კმარა!
რეალობას რომ გაურბის - გულს გაახარებ ძალზედ,
შენს გულგრილობას, უტიფარს...

დღეს მნიშვნელობა არ აქვს!
ნიღაბი ხარ თუ დეკორი, ვეტრფი შენს სილამაზეს!



ბეატრიჩე

ნაცრად ქცეულ მიწაზე - ცის ცვარი რომ სწყურია,
შევჩიოდი ბუნებას - ჩემში გამქრალ სიკეთეს,
ფიქრით ვხეტიალობდი და შემთხვევით სრულიად
ალესილი ხანჯალი თითქოს გულზე ვიკვეთე:

დავინახე, ჩემს თავზე ცით ღრუბელი დაეშვა,
გლოვის ქარიშხალივით - ყრიდა ქუფრს და კაეშანს,
ზედ კი ბოროტ დემონთა ხროვა იყო ხნიერი,
სასტიკ, ცნობისმოყვარე ჯუჯებს ჰეგავდნენ იერით.

ცივად მაკვირდებოდნენ, ჩემი ცქერით ტკბებოდნენ,
როგორც ხალხი ერთობა გზაში გიჟის დანახვით,
ავი სიცილ-ქირქილი მე მესმოდა ზემოდან,
თვალის ჩაკვრა მზაკვრული, მინიშნება რაღაცის.

„ერთი ამას შეხედეთ, ვითომ ესაც კაცია,
ჰამლეტის ჩრდილს უფრო ჰეგავს და მის იმიტაციას,
გამოხედვა საეჭვო, თმები - ქარზე წასვლია,
განა სამწუხაროა, ნახვა ასეთ მასხარის.

ეს გლახა, გაიძვერა, სასაცილო კაცუნა,
თავის როლში, შეხედეთ, როგორ კარგად შესულა,
საკუთარ ტკივილებზე მაგის ნამლერ სიმლერებს,
ყვავილები, ჩიტები, წყაროებიც ისმენენ.

ჩვენც კი, ყველა ხრიკების, ვინც ვართ გამომგონებნი,
ხედავთ, ჩვენც ვიმეორებთ მის ტირადებს გონებით?

ამ დროს შემეძლო, მე უბრალოდ პირი მებრუნა,
აღარ მესმინა დემონების ავი გნიასი,
სიამაყე მაქვს დაუძლევი, მთისებრ ზვიადი,
მაგრამ გაეშეშდი, დავინახე რაც უნებურად.
ამ უხამს ბრბოში მე შევნიშე - დანაშაული
სხვაგვარად მწველი - ჩემი გულის დედოფლის მზერა.

მზეს ვერ არყევდა, მართალია, მზე დარჩა სრული,
მაგრამ მე მყისვე დავბარბაცდი, სრულად შეძრული.
ის მათთან ერთად დასცინოდა ჩემს უიღბლობას
და ბილნ ალერსით ერთობოდა ამ ავსულ ბრბოსთან.



აბელი და კაენი

აბელის მოდგმავ, სვი და ჭამე გულდადინჯებით,
ღმერთი გილიმის მიმტევებლად, რა გენალვლება!
კაენის მოდგმავ, ტალახში ხარ, უქმად ირჯები,
უნდა იხოხო წუმპეში და მოკვდე დაღვრემით.

აბელის მოდგმავ, შენი მსხვერპლი შეწირულია,
როგორ მოუხდა, ალამაზებს ცხვირს სერაფიმის!
კაენის მოდგმავ, ენამები, წინ უფსკრულია,
ეგ ტანჯვა როსმე დასრულდება და გვერდს აგივლის?

აბელის მოდგმავ, ბარაქა და ხვავი გექნება,
ნათეს-ნამყალი, პირუტყვი და თბილი სახმილი,
კაენის მოდგმავ, შიმშილისგან კუჭი გიხმება
და ცარიელი ნაწლავები ყმუის ძალლივით.

აბელის მოდგმავ, დაითბუნე შენი მუცელი,
პატრიარქალურ შენს კერიას თავს ჭერი ხურავს,
კაენის მოდგმავ, ცივ ბუნაგში დარდს გაუძელი,
გაითომშე და იკანკალე, საბრალო ტურავ!

აბელის მოდგმავ, გიყვარდეს და სწრაფად გამრავლდი!
შენი ოქროც კი ნაყოფს გაძლევს და ბავშვებს ბადებს,
კაენის მოდგმავ, გეფერფლება გული აზარტით,
სჯობს გაუფრთხილდე დიად ლტოლვას, ვნებებს მღელვარეს.

აბელის მოდგმავ, მორწმუნე ხარ, ისე ბალახობ
თითქოს ტყისპირებს შესეული ბალლინჯო ცოცავს,
კაენის მოდგმავ, შენი გზები ტანჯვით დალახე,
სასოწარკვეთით, ჭაპანწყვეტით მიათრევ ოჯახს.

აჲ! მოდგმავ, მოდგმავ, აბელისა! ეგ შენი ლეში
მიწად ქცევისას სასუქივით განპოხს ნიადაგს!
კაენის მოდგმავ, ამაოა იმედი შენში,
არ არის კმარი შენი შრომა ცისთვის ნიადაგ.

აბელის მოდგმავ, რა შეგარცხვენს, თუ გინდა გეტყვი:
ფრთხილად იყავი! რკინას მუდამ შუბი ამარცხებს,
კაენის მოდგმავ, ზეცად ახვალ და მიწა დაგცემს,
როცა ისურვებ ცის კაბადონს მოსწყვიტო ღმერთი!



დუელი

მეომრები დაეძგერნენ ერთმანეთს,
ორთაბრძოლას ახლავს უღერა მახვილის,
სისხლი ჩქეფს და იარაღი ელვარებს,
ჭაბუკთ მსხვერპლს სთხოვს ტრფობა, გულის ძახილი.

ახალგაზრდებს იარაღი დაემსხვრათ,
და, ძვირფასო, მგონი გატყდნენ თვითონაც,
ო, დიდია გაშმაგება და რისხვა,
კბილებიც კი ალესილი - ლითონს ჰეგავს.

ხევში ერთურთს შეჭიდულნი არიან,
გმირები და ჰეგვანან იაგუარებს,
მათი კანი ამკობს ეკალ - ბარდიან
ბუჩქნარსა და უფსკრულს უფრო უარესა.

ეს ხრამია, ჯოჯოხეთი ჩვენი და
აქ ვიბრუნოთ სინანულის გარეშე,
ულმობელო ამორძალო, მე მინდა,
ამ ბოროტმა ცეცხლმა სულ ითარეშოს.

კედლის საათი

ო, ეს საათი! პირქუში და გულცივი ღმერთი,
ის თითის ქნევით გვემუქრება, ამბობს: „გახსოვდეს!
ეგ ტკივილები - გულს რომ გივსებს საშინელებით,
მიზანს მოხვდება, დრო მოგივლენს
მალე კარგ მსროლელს.

სიამოვნება გაგექცევა ჰორიზონტს მიღმა
და გაგიქრება კულისებში, როგორც სილფიდა,
ყოველი წამი, იმ ულუფა სიხარულს გართმევს,
რაც მთელი წლისთვის გებოძა და ერთბაშად დათმე.

საათში გესმის სამიათას ექვსასჯერ ეს ხმა,
წუთი მწერივით წუის ყურთან, აქ ვარ, „გახსოვდეს!“
ავი ხორთუმით მე ვისრუტავ სიცოცხლეს შენსას
და მის საზარელ კლანჭებს ასცდე, სცადო არცროდეს.

გახსოვდეს მუდამ! რაკი ფლანგავ დროის საწყაოს,
(ჩემს ლითონის ყელს ყველა ენით ბაასი ძალუძს),
ლალო მოკვდავო, წარმავალ წუთს აქვს ის მაღარო,
სადაც შენ შეძლებ მიაკვლიო ოქროს დაფარულს.

გახსოვდეს, რომ დრო - აზარტული მოთამაშეა,
მას აქვს კანონი: მუდამ იგებს ფანდის გარეშე,
დღე სულ მცირდება, ღამე მეტად გახვევს არშიას,
ცარიელია კლეფსიდრა და უფსკრულს კვლავ შია.

მალე ჩამოჰკრავს ღვთაებრივი შემთხვევის ზარი
და სათნოება, ვით ქალწული ჯერ კიდევ (ცოლი,
(ოჳ, სინანული, ჩვენი ბოლო სახლი ის არი),
ერთხმად გეტყვიან: „გვიანია, მშიშარავ, მოკვდი!“



ლარიბების სიკვდილი

ვინც გვანუგეშებს და გვაცოცხლებს,
ვაი, რომ ეს არის სიკვდილი,
ის არის სიცოცხლის მიზანი, ჩვენი ერთადერთი იმედი,
ის ელექსირივით გვამალლებს და გვათრობს,
როცა სხვებს მივტირით,
ის აძლევს მხნეობას ჩვენს გულებს,
რითაც ჩვენ აქამდე მოვედით.

ქარიშხლის, თოვლის და ყინვების
და ათას ქარცეცხლის გამოვლით,
ის მოჩანს ბრწყინვალე შუქურად
ჩვენი ჰორიზონტის კიდეზე,
როგორც საიმედო ჰოსტელი, ცნობარში ადვილად საპოვნი,
სადაც მიგილებენ დალლილებს, გაჭმევენ და დაგაძინებენ.

ის ანგელოზია, მაგნიტურ თითების გაშვება აღარ სურს,
უჭირავს ძილი და გვიგზავნის
ექსტაზურ სიზმრების ვაუჩერს,
ის იხდის უპოვარ შიშველთა,
ლატაკთა საწოლის საფასურს.

ის არის დიდება ლმერთების, ჩვენი მისტიკური საუნჯე.
ქისაა ლარიბი კაცისა, მისი უძველესი სამშობლო,
კარიბჭე უცნობი ცისაკენ -
მიწიერ ტანჯვას რომ აშორებს.

ორი კეთილი და

გარყვნილება და სიკვდილი, ორი კეთილი და,
კოცნებით გაუმაძლარნი, ჯანით მრთელი და მხნე,
დაკონკილებს და მშრომელებს, მუდმივი ჯაფა აქვთ,
ამიტომ დარჩნენ ქალწულნი, არ უშობიათ ჯერ.

პოეტს, სიავის მომტანს და ყველა ოჯახის მტერს,
ამ ჯოჯოხეთის მოციქულს, უვარგის კურტიზანს,
საფლავები და ბორდელი თავიანთ საფარქვეშ,
საწოლს უგებენ, რომელზეც არ ნანობს არაფერს.

კუბო და სარეცელია - ორი კეთილი და,
რიგრიგობით რომ გვთავაზობს
ღვთისმგმობელ, მკრეხელ შხამს -
ამაზრზენ სიამოვნებებს და სიტკბოს საშინელს.

ო, გარყვნილებავ, ნეტავი, როდის დამმარხავ მთლად?
სიკვდილო, როდის მოდიხარ, ხომ ხარ მეტოქე და,
როდის დაამყნობ მის მურტზე* შენს კვიპაროსებს შავს?

* მურტი – ბოტ. მურტისებრთა ოჯახი.

სისხლის შადრევანი

ზოგჯერ ასე მგონია, რომ სისხლი მდის ნაკადად,
რიტმს მტირალა შადრევნის ეს დინება თითქოს გავს,
ცხადად მესმის მისი ხმა და ჩხრიალი ხანდახან,
მაგრამ ამაოდ ვცდილობ, რომ ვიპოვო ჭრილობა.

ის მიდის და ჰყვეთს ქალაქს, მინდორს ესალბუნება,
ის მიდის და ქუჩები კუნძულებად იქცევა,
წყუურვილს უკლავს გზადაგზა ყველა შემხვედრ ქმნილებას
და სადაც ის გაივლის წითლად ღებავს ბუნებას.

ღვინოს ვთხოვდი მე შველას, როცა ძრწოლა მიტევდა,
რომ ერთი დღით გაექრო შიში - მე რომ მფიტავდა,
ღვინო სმენას მახვილს ხდის, აძლიერებს ჩინს თვალთა.

ფიდხანს თავდავიწყებას სიყვარულში ვეძებდი,
მაგრამ ტრფობა მოჰვავდა ჩემთვის ლეიბს ნემსებით,
სასტიკ გოგონებისთვის შექმნილს სასტიკ წესებით.



მუსიკა

ხშირად მე მუსიკის მიტაცებს ჰანგები,
ვესწრაფვი ჩემს ვარსკვლავს, მკრთალსა და წარუშლელს,
ხან მივქრი უსაზღვრო ეთერის თანხლებით,
ნისლების საფარქვეშ ხან აფრებს ავუშვებ....

გულმკერდი წინ იწევს, მევსება ფილტვები,
როგორც დაბერილი ქარზე იალქნები,
ზურგიდან აქოჩრილ ტალღებზე მივძვრები,
ღამეში დაფარულ ნაპირს მივადგები.

ვნებები იღვიძებს, ვეღარ ვეურჩები,
სხეული განიცდის მათ ტანჯვის ნიშნებად
და ეს ქარიშხალი თავისი კრუნჩხვებით,
ვეება, თვალუწვდენ უფსკრულზე იშლება.

და ასე ვირწევი. სხვა დროს მკვდარ სიმშვიდეს,
ვით სასოწარკვეთის დიდ სარკეს ვიცილებ.



მხიარული მკვდარი

სადმე ნოყიერ მიწაში, ლოკოკინების გვერდით,
მინდა გავთხარო ღრმა ორმო, მინდა ეს ფიქრი ახდეს,
შიგ თავისუფლად ჩავანყო ჩემი ბებერი ძვლები
და დავიწყებას მივეცე, როგორც ზვიგენი ტალღებს.

მძულს ანდერძების შედგენა, მძულს საფლავები, ქვები,
ცოცხალი - ცას რომ ცრემლს შესთხოვს,
ეგ მე ვერ გამხდის მორჩილს,
მაგ დღეს მე მიჯობს ყვავები მოვიპატიურ ბევრი,
მკორტნონ და დასისხლიანდეს ჩემი ბინძური ჩონჩხი.

მატლებო, უთვალ-უყურო, შავო მგზავრებო გლოვის,
ამ მკვდარს შეხედეთ, თქვენამდე რა მხიარულად მოდის,
ბრძენნო და ფილოსოფოსნო, გახრწნის და ლპობის ძენო,
გადაიარეთ ჩემს მძორზე, დარდი არ გაიხსენოთ.

მხოლოდ მითხარით თუ არის კიდევ რამ სატანჯველი
უსულო სხეულისათვის, მკვდრისათვის მკვდართა შორის.



შეუვარებულთა სიკვდილი

ჩვენ გვექნება საწოლი სავსე მსუბუქ სურნელით,
ღრმა ტახტები უძირო საფლავების ნიმუშად,
შემოსავენ თაროებს უცხო ყვავილნულები,
სილამაზით ამ ცისქვეშ ჩვენთვის რომ გაიფურჩქნა.

მოსწრებაზე ვიქნებით... სითბო უკანასკნელი
ჩვენი ორი გულიდან ორ ჩირალდანს აანთებს
და დატოვებს ეს ცეცხლი საიდუმლო აზრებით,
ჩვენი ორი გონების ტყუპ სარკეზე ანარეკლს.

და სალამო დადგება, როცა ავი ტაროსის,
მისტიურ სილურჯეზე და ვარდებზე მინდობით,
ბოლო ელვის ნაპერწკალს ჩვენ ერთმანეთს გაუცვლით,
როგორც ტირილს გულსაკლავს,
როგორც სიტყვას „მშვიდობით“.

ხოლო მოგვიანებით, სასწაული მოხდება,
მოვა ანგელოზი და გახსნის ციურ სანახებს,
ერთგული, მხიარული - ყველა კარებს გააღებს,
მოვა მკვდარი სულის და ცეცხლის გასაცოცხლებლად.

რომანტიკული მზის ჩასვლა

რა ლამაზია ეს მზე, მისი ამოსვლა დილით,
ვით აფეთქება ნათლის, ციდან რომ სალამს გითვლის.
დალოცვილია ვისაც, ზღვა სიყვარული ძალუძს,
რომ ოცნებაზე დიადს - მზის ჩასვლას მიესალმოს.

მე ყველაფერი ვნახე, მე ყველაფერი მახსოვს,
გრძნობის დაკარგვა მის წინ... ყვავილი, ყანა, წყარო,
ხედავ ჰორიზონტს ? მოდი, სწრაფად გავიქცეთ იქით,
გვაგვიანდება, ჩქარა... ხედავ დრო როგორ მიქრის.

ერთი ირიბი სხივი ჩვენც დავიჭიროთ მინდა,
მაგრამ ამაოდ მივდევ, ღმერთი გამირბის ციდან!
დაუძლეველი ღამე თავის სამეფოს აგებს,
შავს, ნესტიანს და საშიშს, ურჟოლით, კანკალით სავსეს.

საფლავის სუნი დგება წყვდიადში და მე ვწვალობ,
შიშით ვაცილებ ფეხებს - გომბეშოებს და ჭაობს.



მე შენ გაძლევ ამ ლექსებს და თუ ჩემი სახელი
ბედნიერად მიაღწევს ხვალ შორეულ ეპოქებს,
აიძულებს ოცნებას ერთ საღამოს დალხენილ
კაცთა მოდგმას და აქცევს წარმავლობის მეტოქედ,

გაჰყვებიან თუკი მას, ვით ზურგის ქარს გემები,
შენი მეხსიერება - ბუნდოვან ზღაპრებივით,
მკითხველებს თავს აპეზრებს, როგორც გუსლის ბგერები,
მისტიკურ და მშობლიურ ჯაჭვის რგოლზე ჩაბმული,

რჩება, როგორც ჩემს ამაყ რითმებს დაკიდებული,
დაწყევლილი ყოფნაა, შენ სხვა არც რა გებადა,
ვისაც ღრმა უფსკრულიდან, ზეციურ მწვერვალამდე,
არ პასუხობს, ხმას არ სცემს, აღარავინ ჩემს გარდა!

– ო, შენ, ვით მოჩვენებას, ეფემერას მოგდევენ,
შენ კი მსუბუქ ნაბიჯით, მშვიდად, განა წვალებით,
ვინც შენ გაგასამართლა, თელავ სულელ მოკვდავებს,
შავი ანგელოზი ხარ, კერპი - გიშრის თვალებით.

ჟოველთვის იგივე

„საიდან მოდის ნაღველი ვსევდიანდებით როცა,
ზღვასავით ამომავალი შავ და ფრიალო კლდეზე?“
– ერთხელ, ჩვენ გულმა ამაზე მძიმე პასუხი მოგვცა,
ცხოვრება ბოროტებაა და შველას აღარ ვეძებთ...“

ყველასთვის არის ცნობილი - ეს საიდუმლო ძველი,
ტკივილი მეტად მარტივი და არა იდუმალი,
თვალსაჩინოა ყველასთვის, ვით სიხარული თქვენი.
მაში, გთხოვთ შეწყვიტეთ ეგ ძებნა, ო, მშვენიერო, უმალ!

და თუმც ტკბილია თქვენი ხმა,
 მე გთხოვთ, დადუმდით ერთხანს!
გაჩუმდით, უმეცარი ხართ! სული ცად ილტვის მუდამ!
ბაგე ბავშვურად მღიმარი! და სიცოცხლეზე მეტად
ხშირად სიკვდილი გვიჭირავს უწვრილეს ბორკილებით.

დატოვეთ, იყოს ეს გული - ლამაზ ტყუილით მთვრალი,
ჩაყვინთოს თქვენს მწველ თვალებში,
 არ ჰქონდეს ხვალის შიში,
დატოვეთ, დაე, ეძინოს, დიდხანს წამწამთა ჩრდილში!

შხამი

ლვინომ იცის საიდუმლო ფუფუნების, განცხრომის,
ბინძურ თთახს ბრწყინვალებით შემოსავს და გაოცებს,
ზღაპარს შექმნის წითელ ორთქლში,
ოქროვარაყდანყობილს,
ისე, თითქოს მზე ეშვება დაღრუბლულ კაბადონზე.

ოპიუმი საზღვრებს მიღმა სულს ამაღლებს ოცნებით,
დროს აღრმავებს, აძლიერებს ვნებას თავის შესაქცევს,
დაუძლეველ წეტარებით, შავ-ბნელ სიამოვნებით,
გივსებს სულს და უცებ გაქცევს
აღმატებულს შენს თავზე.

მაგრამ მენდე, ჩირად არ ღირს შენთან ეს ყველაფერი,
იმ საწამლავს ვერც შევადრი,
მაგ თვალთაგან რომ წვეთავს
ყველა შხამზე ძლიერია შენი მწვანე თვალები,
ტბები, სადაც მოკანკალე ჩემს ამღვრეულ სულს ვხედავ.

ესწრაფვიან ოცნებები ვნების მწარე უფსკრულებს,
წყურვილს მიკლავს ეგ მორევი,
ყველა ნატვრას მისრულებს,
არაფერი შეედრება, ვით ზღაპარში ვიწვები,
როცა შენი ნერწყვი მძირავს ზღვაში თავდავიწყების.

არც სინდისის ქენჯნასა ვგრძნობ და არც ვეძებ მიზეზებს,
ღონემიხდილი მივცურავ სიკვდილის ნაპირებზე.

მიპატიუება სამოგზაუროდ

ჩემო ბავშვო, ჩემო დავ, იფიქრე იქ წასვლაზე,
სადაც ჩვენ გველოდება, სიტყბო ერთად ცხოვრების,
სადაც სიყვარულით და სურვილებით აგავსებ,
ის ქვეყანა შენა გგავს, შენ მას ემახსოვრები.

ნამიანი მზეების ცას რომ მოაქვს სინაზე,
ჩემს სულს მოელანდება ბრწყინვა შენი თვალების,
მათ სწორედ ის ხიბლი აქვთ იდუმალი წამების,
მოღალატე თვალების, ცრემლებით რომ ბრწყინავენ.

იქ სრული წესრიგია, სილამაზე იმგვარი,
ფუფუნება, სიმშვიდე თითქოს სულში შემოაქვს,
მრავალ წელს რომ უვლიდნენ, პრიალა და მძინავი,
საუცხოო ავეჯი დაამშვენებს ჩვენს ოთახს.

ჯადოსნური ამბრის და იშვიათ ყვავილების
შერეული სურნელი - მოლივლივე საცდური,
სარკეები მდიდრული და ჭალები ზღაპრული,
ბრწყინვალება იქნება ირგვლივ აღმოსავლური.

ყველაფერი იდუმალ გახსნის ფარულ საუნჯეს,
თავის ტკბილ და მშობლიურ ენაზე ისაუბრებს.
იქ სრული წესრიგია, სილამაზე იმგვარი,
როგორც მშვიდ ფუფუნებით ავსებული სიზმარი.

შეხედე ამ არხებზე გემებს წყალში მთვლემარეს,
მათი ზნე ხეტიალის, ხასიათი თავნება,
შენს პატარა სურვილებს როგორ ეხმიანება,
შორი ქვეყნის ბოლოდან, რომ მოდიან შენამდე.

ჩამავალი მზე ადგას მინდვრებს, არხებს და ქალაქს,
იაგუნდით, ოქროთი სავსე შუქი დაფარავს,
იქ სრული წესრიგია, სილამაზე იმგვარი,
როგორც მშვიდ ფუფუნებით ავსებული სიზმარი.



მე შენ თაყვანს გცემ, ღამეული ცის თანასწორო,
ო, ნაღვლისა და მდუმარების ჭურჭელო, ცივო,
უფრო მიყვარხარ, შორს გაქცევას რაც უფრო ცდილობ
და ჩემს ღამეთა სამშვენისად გხედავ მით უფრო.

მეტი ცინიზმით დააგროვე ის ადგილები,
ჩემს მკლავებს ზეცას რომ აშორებს ყოველი წუთით,
ვწინაურდები შეტევაზე, მივხოხავ ურვით,
ვით გვამის შემდეგ ამოყრილი მატლების გუნდი,

გეტრფი, ო, მხეცო, თუმც გული გაქვს, ვიცი, მტაცებლის,
მაგ გულცივობით, კიდევ უფრო მელამაზები.



ეგზოტიკური სურნელი

შემოდგომის თბილ საღამოს როცა თვალებს ვხუჭავ
და მხურვალე შენი მკერდის სურნელებას ვსუნთქავ,
ბედნიერი ნაპირები გადმეშლება თვალწინ,
საიდანაც მზე თვალს მჭრის და ვნების ცეცხლი მაწვიმს.

ზარმაც კუნძულს წარმოვიდგენ - უცხო სანახებით,
იშვიათი ხეებით და გემრიელი ხილით,
მამაკაცებს გამხდარი და ძლიერ აღნაგობით,
ხოლო ქალებს თვალებმშვენებს გულწრფელობის ხიბლით.

ეგ სურნელი მიმიძლვება წარმტაც გარემოსკენ,
ვხედავ სადგურს იალქნებით და ანძებით სავსეს,
ზღვის ტალღების მღელვარებით დაღლილებს და ნაგვემთ,
იმ დროს, როცა თამარინდის სუნი მე არ მტოვებს,
ჩემს გარშემო ტრიალებს და მიბერავს ნესტოებს
და ჩემს სულში უერთდება მეზღვაურთა ჰანგებს.



ვამპირი

შენ, ვინც ამ საბრალო გულში
შეხველ დანის დარტყმასავით,
შენ, ვინც დემონების ჯოგის
ღვინის ძალა დამანახე.
შენ შეშლილი, მზად იყავი,
ჩემი სული დაიმონე,
გაიკეთე იქ საწოლი
შეიქმენი იქ დომენი;
— სირცხვილია, ვის მივები,
როგორც კატორლელი ბორკილს,
თამაშს - ურჩი მოთამაშე,
გვამს ჭია და ლოთს კი – ბოთლი!
— წყეულიმც ხარ, წყეულიმც ხარ !
ვითხოვებდი სწრაფ ხმალს რადმე,
ჩემი თავისუფლებისთვის,
ჩემი სიმხდალის დამხმარედ
და ვეტყოდი იმ ვერაგ შხამს,
დაუნდობელ ჩემს საწამლავს.
ვაი! ხმალს და საწამლავსაც,
მათ ხომ მე ზიზღით მიმიღეს,
მითხრეს: „იმის ღირსი არ ხარ
ტყვეობიდან გამოხვიდე!
ბრიყვო, ჩვენმა ძალისხმევამ
შენ კი აგხსნა ეგ ბორკილი,
მაგრამ კოცნით აღადგინე
მკვდრეთით გვამი კვლავ ვამპირის!”

მშვენიერება

მშვენიერი ვარ, ო, მოკვდავნო! ვით ქვის სიზმარი
და ჩემი მკერდი, ჯერით ჯერზე დალურჯებული,
შეიქმნა მისთვის, შთააგონოს პოეტს ტრფიალი,
ვით მატერია, მარადისში დაუნჯებული.

ლაუვარდში ვმეფობ, როგორც სფინქსი დაუფასები,
ვაერთიანებ თოვლის გულს და გედის სითეთრეს,
მძულს მოძრაობა, ადგილს იცვლის თუკი ხაზები,
არასდროს ვტირი, არც არადროს სიცილს ვინებებ.

და პოეტები, ამ დიდებულ პოზის წინაშე,
რაც მე ვისესხე საამაყო სხვა ძეგლებიდან
ანადგურებენ ხელოვნურად, ზეცის ჯინაზე,
მკაცრად, სასტიკად თავის დღეებს და მნებდებიან...

პოეტთა მორჩილ საყვარლებს რომ ასე ხიბლავენ
მე მაქვს ის წმინდა სარკეები, რაც მათ ლამაზს ხდის:
ეს თვალებია - მარადიულ შუქით მბრწყინავი,
ჩემი ფართო და დიდი თვალები.

კავშირები

ბუნება არის ცოცხალი ნიშანსვეტებით აღსავსე
ტაძარი და ის ჩვენამდე ბუნდოვან სიტყვებს აგზავნის,
სიმბოლოების ტყეებში ადამიანი მიდის და
კარგად ნაცნობი თვალებით აკვირდებიან იქიდან.

ვით ექოები შორიდან, გრძელ ტალღებივით ულევი,
ერთურთს ერწყმიან უბნელეს და ღრმა ერთობის
მსურველნი,

ფართო და უკიდეგანო, როგორც ბნელი და ნათელი,
ესატყვისება ერთმანეთს - ხმები, ფერები, სურნელი.

არის სურნელი გრილი და ბავშვის კანივით ცინცხალი,
ჰობოებივით ნაზი და მდელოებივით მომწვანო,
არის სხვაც - ტრიუმფალური, უფრო მდარე და მდიდარი,
დაუსრულებლად ვრცელდება საგნების უმალ მომცველი,

ქარვა, მუშკი და გუნდრუკი, თუნდაც, საკმევლის მისხალი
სულსა და გრძნობებს აღავზნებს გალობის ხმაზე
მლოცველის.

ვენური მუზა

სასახლეების ტრფიალო, ო, ჩემი გულის მუზავ!
იანვარი რომ გაუშვებს თავის წვეტიან ბორებს,
როცა თოვლიან საღამოს მოწყენილობა სუსხავს,
გექნება ცეცხლი იისფერ ტერფების გასათბობად?!

გამოცოცხლდება ხელახლა ეგ მარმარილოს მხრები,
ლამეულ სხივთა ისრები, როცა დარაბებს ბურღავს?!
ხვდები, თხელია ქისა და შენი სასახლეც თხელი,
ოქროს მოსავალს მოიმკი ცის კამარაზე თუღა?

გჭირდება გარჯა ყოველდღე ლუკმაპურისთვის ჯერაც,
როგორც ბავშვს, ტაძრის მგალობელს,
თამაში საცეცხლურით,
უნდა იმღერო Te Deum, რომლის არც ისე გვერა,
ან ქუჩის აკრობატივით აჩვენო ნიჭი სრული.

უზმოზე მიმზიდველობით კვლავ მოიწონე თავი,
ცრემლით გაჟღენთილ სიცილით,
რომელსაც ვერვინ ხედავს,
ბრბო აღფრთოვანდა, კარგია, მხიარულება შედგა!

კურთხევა

უზენაესი ძალა როცა გამოსცემს დეკრეტს,
სევდიან სამყაროში, როცა პოეტი ჩნდება,
შეშინებული მოსთქვამს და
იმ წუთს მუშტებს შეკრავს,
მწყალობელ ზეცას წყევლის,
ღმერთს გმობს პოეტის დედა:

– „აჲ! ვშობილიყავ ჯობდა ბუდეში გველგესლების,
ვიდრე ეს სამარცხვინო არსება გამეკვება,
დაწყევლილ იყოს ლამე ხანმოკლე სიტკბოების,
როცა ეს სინანული ჩემს წიაღს დაეპედა.

ყველა ქალს შორის რაღა მე ამირჩიე, ღმერთო,
ჩემი საწყალი ქმრისთვის ზიზღი მეთრია მუცლით,
ან შემძლებოდა ნეტავ რომ ცეცხლში გადამეგდო,
ნაკითხულ წერილივით ეს უსუსური მონსტრი.

თავს დავატეხო ზიზღი, რომელიც ასე მთრგუნავს
ამ შენი ბოროტების წყეულ იარაღს ვინძლო,
ეს საპრალო ხე ისე დავამახინჯო უნდა
კვირტების გავრცელება ველარასოდეს შეძლოს.“

ამგვარად ყლაპავს იგი დიდი სიძულვილის დორბლს,
ვერ ხვდება, ამით სამყაროს
ლვთიურ განზრახვას გმობს,
რითაც თავისთავს უმზადებს გეჰენის წყეულ ფსკერს,
ცოდვილ დედების კოცონზე მას დაწვა მოუწევს.

თუმცა არ ტოვებს პოეტს მფარველი ანგელოზი,
მემკვიდრეობა არ აქვს, მაგრამ ბავშვი მზით თვრება
და ყველაფერში რასაც ჭამს და სვამს იგი ქვეყნად,
ჰპოვებს ღმერთების საკვებს - ამბროზიას და ნექტარს!

ესაუბრება ღრუბელს და თან თამაშობს ქართან,
სიმღერით თვრება ჯვრის გზაზე რომ
იწყებს სიარულს,
მომლოცველივით სული ყოველთვის თან რომ ახლავს
ტირის, როდესაც მას ხედავს ჩიტივით მხიარულს.

ვინც უნდა რომ უყვარდეს, შიშით შეჰყურებს ყველა,
ან მისი სიმშვიდისგან თამამდება და ეძებს
მის წინააღმდეგ წამსვლელს,
ვინმეს საჩივრის შემტანს,
რომ სისასტიკე მკვლელი თავს დაატეხოს მეტად.

ყველაფერს - პურს და ღვინოს და
მას საჭმელად რაც აქვს,
ურევენ გამეტებით ბინძურ ნაცარს და ფურთხსაც,
რასაც შეეხო იგი, ჩუმად აგდებენ მერე
და თავს კიცხავენ,
რადგან მის კვალზე წასვლა სურდათ.

მისი ცოლი კი ყვირის საჯარო მოედნებზე:
„რადგან ვარ ასე ლამაზი, დაე, თაყვანი მცეს,
მე გავაკეთებ საქმეს, აღვადგენ კერპებს ძველს
და იმათ მსგავსად ოდესმე, მინდა რომ მეც აღვსდგე;

მეც გავპრუვდები საკმევლით, ნარდით და მირონით, მუხლმოყრით და მორჩილებით, ხორცით და ლვინოთი, მინდა გავიგო თუ შევძლებ, იმ გულში, მე რომ მსურს ლვთიური პატივისცემის უზურპაციას სრულს.

და მომწყინდება როცა ხუმრობა, მკრეხელური მე მას დავადებ სხეულზე ჩემს სუსტ და ძლიერ ხელს, ჩემს ფრჩხილებს პარპიებივით აღმასებივით მჭრელს ეცოდინებათ, ვით განვლონ გზა მისი გულისკენ.

და ახალგაზრდა ჩიტივით, რომ კანკალებს და თრთის, მკერდიდან გულს ამოვიგლეჯ, გულს წითელს სისხლივით, ჩემს საყვარელ მხეცს მივუტან, რათა გავაძლო ის და ხორცს ძლვენივით მიტანილს - ზიზლით დავუყრი წინ!“

ზეცისკენ, სადაც თვალები ხედავს ბრწყინვალე ტახტს, მშვიდად აღმართავს პოეტი თავის ლვთისმოსავ მკლავს, უცებ ნათელი გონება წყვდიადში ინათებს და გაშმაგებულ ხალხისგან დაფარავს მის სახეს:

„კურთხეული ხარ, უფალო, ტანჯვას გვიგზავნი ბევრს, ვით ლვთიურ წამალს და მკურნალს -
ჩვენი ცოდვების მკვლელს,
ის სუფთა ესენციაა, სულის ჭრილობებს რგებს
და წმინდა სიამოვნებას უმზადებს ძლიერებს.

ვიცი, რომ პოეტისათვის შენ ადგილს ინახავ, კურთხეულ ლეგიონების დასში მოუხმობ მას, წმინდათა დღესასწაულზე მიიღებს მიწვევას, სათნოებათა ტახტებზე ანგელოზების მსგავსა...

ყველაზე კეთილშობილი - ეს ტკივილია მწამს,
ჯოჯოხეთი და ქვეპნელი მას ვერ ამარცხებს, ვგრძნობ,
ჩემი გვირგვინის დაწვნისთვის ვიცი, მჭირდება რაც,
უნდა დავიპყრო სამყარო, ყველა უამი და დრო,

მაგრამ ის სამკაულები - ანტიკურ პალმირას
რაც დაეკარგა ოდესლაც, მარგალიტები ზღვის,
ანდა უცნობი ლითონი - რითაც შეამკობთ მას,
საკმარისი არ იქნება ამ დიადემისთვის.

მის ბრწყინვალებას დიადს, მითხარ, შეამკობს როგორ
სუფთა სინათლის წმინდა, პრიმიტიული სხივი,
რომლის მოკვდავი მზერა, რომლის თვალები ცივი,
ჩაბნელებული, მრუმე, სარკეებია მხოლოდ.“



ბრძები

განჭვრიტე, სულო ჩემო, რა შემზარავნი არიან!
მანეკენების მსგავსნი, სასაცილონი უკლებლივ,
უცნაურნი და მარტონი, ისე ვით მთვარეულები,
დაბნეულ მზერას გტყორცნიან, ამოლამებულ გუგებით.

თვალში აღარ ჩანს, გამქრალა ღვთიური ნაპერწკალი,
მუდამ შორს იყურებიან, ზეცის დაჰყვებათ დამღა,
ოცნებით დამძიმებული მაღლა უჭირავთ თავი,
ქვაფენილისკენ დახრილებს მათ ვერასოდეს ნახავთ.

ამგვარად კვეთენ ისინი უსაზღვროებას პნელის,
შავი ფერი და დუმილი - მარადიული ძმები,
ქალაქო! ვიდრე ჩვენს ირგვლივ ყვირი, იცინი, მღერი,
შეპყრობილი ხარ ბოჰემით სისასტიკემდე ვიდრე

ნახე! თავს მეც ხომ მივათრევ,
მეც ვბრუვდები და ვთვრები.
მე ვამბობ, რას დაეძებენ ცაში ყველა ეს ბრძები?



გამვლელისადმი....

როცა ქუჩა ღრიალებდა ჩემს ირგვლივ
და ხმაური აყრუებდა უგრძნობსაც,
დიდი გლოვით, დიდებული ტკივილით,
გაიარა ჩემს წინ ქალმა უცნობმა.

აეწია ზევით ხელის მტევანი,
სინატიფის, ფუფუნების დასტურად,
გამხდარ ტანზე ყვავილწნული ფერადი
კაბის ქობა შეირხა და დასრულდა.

მე ვიჯექი, ვსვამდი ისე მღელვარედ,
ვგავდი ალბათ გიშს და ექსტრავაგანტურს,
თვალი ვკიდე მისი მზერის ელვაზე
წამიერად გაელვებულ გაზაფხულს.

ფერმკრთალ ზეცას ჰგავდა თვალის ისრებით,
სადაც ღვივის ქარიშხალი, გრიგალი,
სიტკბო ჰქონდა, რომ მოგხიბლავს ისეთი,
ჟრუანტელი - რომ გყლავს სწორედ იმგვარი.

სილამაზემ, ჩემსკენ გამოსროლილმა,
მისმა მზერამ მე ხელახლა დამბადა,
ნაქანდაკარ ფეხით ქუჩა დაფარა,
გაირბინა მკვირცხლმა, კეთილშობილმა.

ნუთუ ვერსად ვეღარ გნახავ ხვალიდან,
მხოლოდ ზეცა უნდა მექცეს ლოდინად,
მე არ ვიცი, შენ საითკენ გარბიხარ,
არც შენ იცი, მე საიდან მოვდივარ.

გვიანია და შორია მთვარემდი,
აღარასდროს!!!... მერე ღამე იწვოდა,
შენ ხარ, ვისაც, გულით შევიყვარებდი,
შენ ხარ, ვინც ეს ჩემზე უკეთ იცოდა.



ნიღაბი

შევხედოთ ამ ძეგლს, მოქანდაკე ერნესტ კრისტოფის,
ალეგორია, რენესანსი, ღვთაებრივს უდრის,
მასში საუნჯე ფლორენციულ მადლის იგრძნობა,
ელეგანტური და ძლიერი ტალღები კუნთის.

ეს ქალი ცხადი სასწაული, ქვას რომ აცოცხლებს,
ზეპუნებრივად მომხიბვლელი, თხელი და მტკიცე,
არის შექმნილი, რომ დაბრძანდეს მდიდრულ საწოლზე,
თავშექცევისას რომ მოხიბლოს პონტიფი, პრინცი.

შეხედეთ სხეულს მგრძნობიარეს, ვნებათალელვას,
აქ „Fatuite“ თავის ექსტაზს გვიმხელს ღიმილით,
ეს მიბნედილი, დამცინავი და გრძელი მზერა,
სათუთი სახე, მოვლებული ნაზი ქსოვილი,
აქ ყველა შტრიხი გამარჯვებულ იერით ამბობს:
„მე ვნება მიხმობს, სიყვარული გვირგვინით მამკობს!“

შეხედეთ დიდებულებას და ამდენ ჯილდოს ზეცის,
ანიჭებს ხიბლს და ამაღლებს სიკეთე, მას რომ შვენის,
ვეახლოთ და ვიტრიალოთ ამ სილამაზის ირგვლივ,
ოჳ, ავბედითი სიურპრიზი, ო, გმობა ხელოვნების!

ქალი, რომელიც ღვთაებრივი თავის სხეულით,
ბედნიერებას გვპირდება და აფრქვევს ცდუნებას,
ხედავ, ზემოდან ორთავიან მონსტრით სრულდება!

მაგრამ, ო, არა! ეს დეკორი და ნიღაბია,
ნიღაბს არ ენდო, ტყუილია, იგი ყალბია,
ქალის ნამდვილი დახვეწილი სახის გრიმასი,
ღვთიურ შუქით რომ ანათებდა, თითქოს განრისხდა,
შეხედე, როგორ შეიჭმუხნა, რა საშინელი
გახდა ნამდვილი მისი თავი, სახე გულწრფელი
და გადაბრუნდა სულ სხვა მხარეს, ამ ნიღაბისგან.

ო, სილამაზევ, ბედკრულო, ამ ჩემს მშფოთვარე გულს
ერთვის ეგ ცრემლის მდინარე და აქ ამთავრებს სვლას,
შენი ტყუილი მათრობს და ვსვამ ტალღებს მაგიურს,
რომელსაც შენი თვალიდან ტკივილი გამოაქვს.

– მაგრამ რატომ ღვრის ცრემლს,
ეს სილამაზე სრულქმნილი?
დააჩიქებდა თავის წინ, ვინც კაცთა მოდგმას სრულს,
რა იდუმალი სენი ღრღნის მის სხეულს ათლეტურს?
ის ტირის, რადგან ცხოვრობდა,
ღვრის ცრემლებს სულელურს.

ის ტირის, რადგან ის ცხოვრობს, მაგრამ უფრო კი სწუხს
ერთ რამეს... რაც მას აკრთობს და
შიშით უთრთოლებს მუხლს,
ვაი, რომ განსაკუთრებით დარდობს ხვალინდელ დღეს,
ხვალ, ზეგ და მუდამ ცხოვრება რომ ჩვენებრ მოუწევს...

დონ უუანი ჭოჭოხეთში

როცა მიწისქვეშ დაშვება დაიწყო
და მისცა მონეტა ქარონს დონ უუანმა,
ბნელმა მათხოვარმა ნიჩბები ხელთ იგდო
ანტისთენესავით ამაყთვალიანმა.

აჩვენა შავ ფსკერზე ტრიალი ქალების,
გაწელილ მკერდით და გახსნილი კაბებით,
თითქოს შეუნირავთ მსხვერპლად დიდი ჯოგი,
ზურგსუკან ისმოდა ბლავილი მტანჯველი .

სგანარელემ სიცილით მოითხოვა ხელფასი,
სანამ დონ ლუისი - გაბედული ვაჟი,
მოკანკალე თითით მას მკვდრებს უჩვენებდა
და თან დონ უუანის თეთრ შუბლს დასცინოდა.

კანკალებდა უბიწო და გამხდარი ელვირი,
მოღალატე ქმრის გვერდით, ძალიან რომ უყვარდა,
თითქოს მისგან ითხოვდა უზენაეს იმ ღიმილს,
სადაც მათი პირველი ფიცის სიტკბო ბრწყინავდა.

პირდაპირ მის აბჯარში საჭეს მისწვდა ქვის კაცი,
შავი ტალღა გადაჭრა, დახრილმა რაპირაზე,
მაგრამ გმირმა არაფრის დანახვა არ ისურვა,
მდევარს მშვიდად შეხედა და დატოვა ნაპირი.

ტანზე მარგალიტისფერი კაბა ტალღად ევლება,
მაშინაც კი, როცა დადის, გეგონება, რომ ცეკვავს,
თითქოს წმინდა უონგლიორის ჯოხზე გრძელმა გველებმა
რიტმულად რომ ფრიალებენ აგიხდინეს ოცნება.

როგორც ქვიშა უდაბნოში, ლურჯი ზეცის თაღები,
კაცთა მოდგმის ტანჯვისადმი ორივეა გულგრილი,
როგორც ზღვებზე გრძელი ქსელი მოლივლივე ტალღების,
ის იზრდება სწორედ ასე - უგრძნობი და გულცივი.

მომხიბლავი მინერალი კრთის პრიალა თვალებში,
ამ უცნაურ და სიმბოლურ ქმნილებაში თავსდება
ფოლადის და ბრილიანტის, ოქროს ყველა თვისება,
ძველი სფინქსის და ხელუხლებ ანგელოზის ბუნება.

უსარგებლო ვარსკვლავივით სამუდამოდ ანათებს
უნაყოფო ქალის მკაცრი, ცივი დიდებულება.



გიგანტი

იმ დროიდან, რაც ბუნება მძლავრი შთაგონებით
მუცლადიღებს და ყოველდღე ბადებს მახინჯ ბავშვებს,
ახალგაზრდა გიგანტ ქალთან ყოფნას ვისურვებდი,
ჩემი კატა-დედოფლისა ვნება რომ არ დაშრეს.

რომ აყვავდეს ის სხეულით თავის სულთან ერთად
და საშინელ თამაშებში იყოს თავისუფლად,
სწორად მიხვდით, თუ ის გული ბნელი ცეცხლით ფეთქავს
და თვალებში ნესტიანი სველი ნისლი ცურავს,

ძლიერ მომენტობოდა მოვიცლიდი ოდეს,
ვნებით ვუთვალიერებდე შესანიშნავ ფორმებს,
მის დიდრონ მუხლისთავებზე ვხოხავდე და ვთრთოდე
და ზაფხულში, როცა მზეზე ყოფნა არის მავნე.

მე დაღლილმა გადავკვეთო მინდორი და სადმე
წამოვწვე და დავიძინო მისი მკერდის ჩრდილში,
როგორც სძინავს ციცქანა სოფელს მაღალი მთის ძირში.



კაცი და ზღვა

თავისუფალო კაცო, შენ მუდამ ეტრფი ზღვას!
ის შენი სულის სარკეა, სადაც ჭვრეტ თავისთავს,
მისი ტალღების მიმოსვლა, შენს აზრთა დენას გავს
და შენი ფიქრის მორევიც მწარეა, როგორც ის...

შენ გსიამოვნებს საკუთარ წიაღში ჩაძირვა,
იქ წარმოსახვით უკოცნი თვალებს და ხელებს მას,
ზოგჯერ იქ გული იპნევა, უსმენს საკუთარ ხმას,
დაუოკებელს და ველურს, უტყვი ჩივილის მსგავსს.

თქვენ ხართ ორივე პნელი და რაღაცას მალავთ სულ,
კაცო, ვერავინ შეიცნო შენი უფსკრული ღრმა,
ზღვაო, არც შენი ინტიმის სიმდიდრე იცის სხვამ,
საიდუმლოებს ინახავთ და ეჭვი გილრღნით გულს.

ურიცხვი საუკუნეა, ერთმანეთს ებრძვით რაც,
არ იცით სინდისის ქენჯნა, არც თანაგრძნობის გემო,
იმდენად გიყვართ ჭიდილი, ხოცვა-ჟლეტა და კვლა,
ო, მუდამ მოქიშპეებო, ო, ულმობელო ძმებო!

ალბატროსი

გემზე მატროსებს რომ მოუვლით გართობის ჟინი,
ხშირად იჭერენ ზღვის ტალღებზე თეთრ ალბატროსებს.
ეს ფრინველები – ხომალდებთან ერთად მგზავრობენ
და არ სჩვევიათ ქარიშხალების წინაშე შიში.

მაგრამ როგორც კი მათ გემბანზე შემოაგდებენ,
დარცხვენილები, უხერხულად იწყებენ ფორთხვას,
ძირს ნიჩბებივით მიათრევენ ფრთებს – მოუქნელებს
და აღარ ჰგვანან ლაჟვარდების ბინადარ მეფეს.

ხდებიან ტლანქი, სასაცილო და სახამუშო,
ცაში - ლამაზნი, აქ უეცრად მახინჯდებიან,
ერთს ნისკარტი აქვს ჩიბუხივით მოკლე და უშნო,
მეორე კოჭლობს თითქოს ბაძავს მფრინავ ხეიპარს.

ამნაირია – ცათა მეფის – პოეტის ხვედრიც,
გრიგალებს სუნთქავს და ცის თაღებს ულიმის სულში,
ხოლო, მიწაზე მუდამ თან სდევს დაცინვის ხმები,
ბუმბერაზ ფრთებით სიარული რადგანაც უჭირს.

წინა ცხოვრება...

უზარმაზარი პორტიკის ქვეშ დიდხანს ვცხოვრობდი,
საიდანაც ზღვაზე მზეები
ათასფერად გადალებილ შუქურებს ჰგავდნენ,
ხოლო სვეტები დიდებული, ბაზალტის ქვაზე,
გამოქვაბულებს მაგონებდა სალამოობით.

ცის სურათები და მღელვარე ზღვაზე ტალღები,
საზეიმო და მისტიური მათი ნარევი,
მდიდარ მუსიკის ყოვლისშემძლე აკორდთა ჟღერა,
ირეკლებოდა ჩემს თვალებში მზის ჩასვლის ფერად.

იქ განვიცადე მშვიდი ტკბობა სიამოვნებით,
ლაჟვარდის გული, ბრწყინვალება და ზღვის ტალღები,
გაჟღენთილები მძიმე სუნით იყვნენ მონები,
გარს მეხვეოდნენ, მიგრილებდნენ ცხელ შუბლს პალმებით

და ერთადერთი საზრუნავი ეს ჰქონდათ, ჩანდა,
ფარულ ტკივილებს მიღრმავებდნენ - რაც მე მტანჯავდა.



მოცეკვავე გველი

რისი ყურებაც მიყვარს, ძვირფასო ნებიერო,
ეს არის შენი ტანი - ასეთი მშვენიერი!

კანზე შუქივით ბზინავს ქსოვილი მოციმციმე,
მკვეთრი სუნამო თმაზე შეარხევს მიმქრალ სიმებს.

ზღვის სურნელება მოგაქვს...ზღვა თავის წადილს მახლის,
ლურჯი და ყავისფერი მოხეტიალე ტალღით.

როგორც იღვიძებს გემი, დილით ატეხილ ქარში,
ეს სული მეოცნებე ფრთას შორი ცისკენ გაშლის.

ორ ცივ სამკაულს ვადრი მაგ მოელვარე თვალებს:
არც ტკბილს და ალარც მწარეს, ოქროს და რკინის ნარევს.

დადიხარ ისეთ რიტმით - მიტოვებული, მწველი,
თითქოს ჯადოსნურ ჯოხზე ცეკვას ასრულებს გველი.

როს ახალგაზრდა სპილო ტანზე სირბილეს გახვევს,
ირხევა შენი თავი... შენი ბავშვური სახე.

შენი სხეული ისე ბორგავს და იზნიქება
თითქოს ჩაუშვა ღუზა წყლის ნაპირებთან გემმა.

თითქოს აივსო ტალღა საშიშ მყინვართა დნობით,
მგონია, შენი ნერწყვით კბილებს ზემოთ რომ მოდის...

მე ვსვამ ბოჰემურ ღვინოს, მწარეს და ძლევამოსილს
და ეს ციური სითხე გულს ვარსკვლავებით მივსებს.

მთვრალი იყავი

მთვრალი იყავი, მეგობარო, იყავი მთვრალი!
ყოველდღე... რადგან ყველაფერი ამ თრობაშია!

ეს არის კითხვა ერთადერთი და არის ცხადი:
„ტვირთი ხვალისა, მხრებს რომ გიმტვრევს საშინელ ძალით
და მიწისაკენ რომ გენევა - გსურს აიცილო?!”
მაშ, თუ ასეა,
დამიჯერე, იყავი მთვრალი,
არ გამოფხიზლდე, წამითაც კი არ შეისვენო!

რითი დათვრები, სათნობით, ღვინით თუ ლექსით?!
შენი საქმეა! არჩევანი მე არ მენაღვლის.
ოლონდ დალიე, მეგობარო,
ოლონდაც შესვი!
და უსასრულოდ, უსასრულოდ იყავი მთვრალი!

და თუ ერთხელაც გაგეღვიძა სადმე კიბეზე
სრა-სასახლეთა, სადაც ბრნყინავს ბროლი, ბადახში...
ანდა მიწოლილს
თხრილის თავზე, მწვანე ბალახში
და თუ იგრძენი, რომ სიმთვრალე უკვე განქარდა,
სადღაც გამქრალა ნეტარება იმქვეყნიური,
ო, მარტოსულო, ნუ შეკრთები, ნუ დაიბნევი,

მიმოიხედე გარშემო და ნახე ჩიტები,

ტალღა,

საათი,

ვარსკვლავები ან ნახე ქარი.

რაც დარბის, კვნესის, რაც მოძრაობს, მღერის, საუბრობს,

ნახე და ჰყითხე მათ საათი,

ჰყითხე „რა დროა?!“

გიპასუხებენ ყველა ერთხმად - ჩიტიც და ქარიც,

გიპასუხებენ ვარსკვლავები, ტალღები ექოდ,

რომ საათია, საათია ახლა თრობისა...

რითი დათვრები, სათნოებით, ლვინით თუ ლექსით,

ნება შენია!

ტანჯული მონა თუ არ გინდა იყო დროისა,

იყავი მთვრალი!



მტერი

ბნელი ქარიშხლის ქროლვა იყო ახალგაზრდობა,
ხანდახან ჰკვეთდა მას ბრნყინვალე მზეების სხივი,
გაანადგურა, დაანგრია წვიმამ, ღვარცოფმა
ჩემი ბალი და ცოტა დარჩა იქ სალი ხილი.

აპა, შევეხე შემოდგომას პოეტურ აზრთა...
ნიჩაბი მინდა... ვიდრე კვდომა მოვა ბოლომდე,
დატბორილ მიწის შეგროვება ხელახლა ბალთან,
სადაც წყალი თხრის სამარხივით მზირალ ორმოებს.

მაგრამ ვინ იცის, ვიპოვნი კი, ახალ ყვავილებს
ამ ქარ-წვიმისგან გადარეცხილ, დასეტყვილ ალაგს,
იმ მიუწვდომელ, საოცნებო, მისტიურ საკვებს,
უკვე წაქცეულს, კვლავ მომცემდა რომელიც ძალას?!...

– ო, ტკივილო, მოურჩენელო!
ცხოვრებას დრო ჭამს!
ბნელი მტერი კი, ამ გულებს რომ გვილრღნის და ბოჭავს,
ჩვენ რომ დავკარგეთ იმ სისხლიდან ისრუტავს ძალას,
ჩვენ რომ დავლვარეთ იმ სისხლიდან იზრდება ახლაც!

წარმართის ლოცვა

აპ! გთხოვთ, ეს აღი არ ჩააქროთ - თქვენით ვსებული,
ვნებათალელვა, სულთა ტანჯვა, წვა ექსტაზური,
ამ ალზე თბება ჩემი გული - დაბუჟებული,
ო, დივა, დივა! ეს წამება და ექსაუდი!

ქალღმერთი ჰაერს ავსებს ყველგან, მასში ვრცელდება,
აღი კი აღწევს მიწისქვეშეთს - ჩვენდა იმედად,
გთხოვ, მოუსმინე მგლოვიარე სულის ვედრებას,
რომელიც გიძლვნის შენ თავხედურ და ურცხვ სიმღერას.

ვნებათალელვავ, მუდამ, ყველგან - ეს შენ იყავი,
ჩემი სურვილის დედოფალი - მპყრობელი გულის!
აპა, აიღე დღეს ქალთევზბას უცხო ნიღაბი,
ხავერდისა და ხორცისაგან დამზადებული.

ანდა დამისხი შენი მძიმე, მტანჯველი ძილი
ლვინოში,
იგი უფორმოა და მისტიური!
ვნებათალელვავ,
მოჩვენებავ, ელასტიურო!

განადგურება

ჰერში ჩემს ირგვლივ მუდამ ძრწის დემონი,
ვერ ვძლიე... ვყლაპავ და მეწვება ფილტვები,
ვერ ვძლიე... სხეულში სხვა ვნება შემოდის,
მარადი, ცოდვილი სურვილით ვივსები.

ხანდახან ის იღებს იმ ქალის ვიზუალს,
ვინც მექცა ხელოვანს ცდუნებად, ეჭვებით
ტარაკნებს ვისევ და ამ საბაბს ვით უარს
ვერ ვამბობ, უკადრის წამალსაც ვეჩვევი...

ამგვარად ვაშორებ მას ღმერთის სამყოფელს,
მიმყავს და ნელნელა ღვთის მზერას ვაცილებ,
ენუის უდაბურ, უკაცურ დაბლობებს
ვუტოვებ, დალლილ და გატეხილ სამიზნედ.

ის მესვრის ბინძურ და ჭუჭყიან ტანსაცმელს
დაბნეულ თვალებში და გახსნილ იარას
ის ესვრის პირლია წყლულებზე გასასმელ
თვითგანადგურების სისხლიან იარაღს...



არ დამვიწყებია ქალაქის მეზობელი...

არ მავიწყდება ჩვენი სახლი თეთრი, პატარა
და მეზობელი იმ ქალაქის... (ახლაც მიყურებს),
მახსოვს პომონა თაბაშირის, ძველი ვენერა,
მომცრო კორომში რომ მალავდა შიშველ კიდურებს.

არ მავიწყდება მე ის მყუდრო, მშვიდი დაისი...
იქ საღამოს მზე –
გადმოლვრილი საოცარ ჭავლად –
დარაბებს მიღმა, სადაც მისი დისკო დაიმსხვარა,
ცნობისმოყვარედ გახელილი თვალივით ჩანდა.

რა დამავიწყებს,
ჩვენს ხანგრძლივ და მდუმარე ვახშმებს,
ახლაც ვჭვრეტ ცხადად იმ ლამაზი სანთლების ციმციშს
და მათ ანარეკლს
მწირ სუფრაზე,
სერუის ფარდებზე...



ამაღლება

შენობებს ზემოთ, ხეობებს ზემოთ,
მთები, ტყეები, ლრუბლები, ზღვები...
ეთერებს მიღმა, მზეების მიღმა
და ვარსკვლავური სფეროების საზღვრების მიღმა,
შენ, სულო ჩემო, მარჯვედ მოძრაობ.

ვით გამოცდილი მოცურავე მიაპობს ზვირთებს,
სწორედ იმნაირ მამაკაცურ ვნებათაღელვით,
აღუნერელი სიხარულით, სიამოვნებით,
უკიდეგანო და უსაზღვრო სივრცეებს მიჰკვეთ.

ამ სნეული მიაზმებიდან სჯობს შორს იფრინე,
ნადი უმაღლეს ჰაერში და იქ განიწმინდე
და გამჭვირვალე სივრცეების ეს წმინდა ცეცხლი,
ვით ღვთაებრივი ლიქიორი, იმგვარად შესვი...

უზარმაზარი მწუხარების და სევდის მიღმა,
ტვირთის სიმძიმით დაბნელებულ სიცოცხლის ფონზე,
ბედნიერია, ძლიერი ფრთით კვლავ შეძლებს ვინაც,
მშვიდი, შუქმფენი ველებისკენ მიისწრაფვოდეს.

ვისი ფიქრებიც ყოველ დილით იჭრება ზეცად,
ტოროლებივით თავისუფლად ვინც იცის ფრენა,
– ის, ვისი სულიც ძალისხმევის გარეშე სწვდება
მუნჯი საგნების, ყვავილების იდუმალ ენას...

ალეგორია

ეს ის ქალია, მშვენიერი, მდიდრულ დეკოლტით,
ფროსტარებისას ვინც თავის თმას ტოვებს ღვინოში
და ყველა ჭორი, სანამლავი - ბრჭყალები ტრფობის,
დნება და ქრება მისი კანის მარმარილოზე.

ის გარეუნილებას დასცინის და დასცინის სიკვდილს,
და მაინც, მაინც... არის მარტო, არის ეული
და საზარელი ურჩხულები, ეს ორი მონსტრი,
თავის ხელებით რომ თიბავენ ამ ქვეყნად სიცილს,

პატივს უძლვნიან დამანგრეველ თავის თამაშში,
დიდებულებას ამ მტკიცე და მართალ სხეულის.
ის ცხოვრობს ქვეყნად ვით ქალლმერთი, როგორც სულთანი
ისვენებს, ტკბება, ის ერწმუნა ერთხელ მუჰამედს...

გაშლილ მკლავებში, მკერდს რომ უვსებს
როგორც ცუნამი,
ის კაცთა მოდგმას და სამყაროს უხმობს თვალებით.
და სჯერა ქალწულს უნაყოფოს, რწმენას ენდობა,
რომ ამ სამყაროს ამაღლებას სჭირდება თვითონ.

რომ ყოველგვარი სირცხვილისგან ბადებს შენდობას,
ის სილამაზე სხეულისა, მას რომ აქვს ჯილდოდ...
ის ხედავს მხოლოდ განსანმენდელს,
ვერ გრძნობს ჯოჯოხეთს,

და ბნელ ღამეში მისი შესვლის დრო მოვა როცა,
სიკვდილს შეხედავს ჩვილ ბავშვივით - როგორც ბოლო ხედს,
სიძულვილის და სინანულის გარეშე ლოცვას...

ცოცხალი ჩირალდანი

ისინი სულ ჩემს წინ მიდიან,
ეს შუქით აღსავსე თვალები
და ცეცხლის ალმასებს ისვრიან
მზერაში არეკლილ ალებით.

კვალავენ, თუ წინ გზა ძნელია,
არაფერს ითხოვენ სანაცვლოდ,
ისინი ღვთიური ძმებია
და ჩემი ძმებია ამავდროს.

მიდიან ...მივყვები, უფრო სხვა
მაგნიტის სხივია, რაც მათ აქვს,
ჩანს, რომ ანგელოზმა უბოძა,
იმნაირს იტევენ ანდამატს.

დამხსნიან ხაფანგსაც, ხიფათსაც,
მიხსნიან დამღუპველ ცოდვისგან,
მათი წინამძღვრობით მივაღწევ
გზას მშვენიერების, ოდესლაც.

ჩემი მსახურები არიან
და მაინც მონა ვარ მე მათი,
ჩემში მორჩილება რაც კია
ამ ცოცხალ ჩირალდანს ვუმადლი.

მბრწყინავო თვალებო, ანთიხართ,
იდუმალ სხივს აფრქვევთ, უნაკლოს
თქვენ ჰგავხართ დღის შუქზე სანთლის ალს,
აწითლებს მზე, მაგრამ ვერ აქრობს.

ისინი სიკვდილთან აცეკვდნენ,
თქვენ უმღერთ ჩემს გამოღვიძებას,
ვარსკვლავნო, ეს სული ივსება,
ჩაქრობა არ ძალუძს არცერთ მზეს.



სწეული მუზა

ვაი, ჩემო საწყალო მუზავ, რა გჭირს ამ დილით?
ამოგვსებია ეგ თვალები ლამის ხილვებით,
ვხედავ ანარეკლს შენს სახეზე – ჩუმი და ცივი –
საშინელების, მარტოობის და გაგიჟების.
სუკუბუსს მწვანეს, პიქსს ვარდისფერს, ფასი აქვს ძვირი,
შიშს და სიყვარულს ამ ურნიდან იღებ განაჩენს?
ხომ არ იწვნიე ამბოხებულ მუშტის კოშმარი?
ფსკერზე ზღაპრული მინტურების ეს მათ დაგახრჩვეს?!

ამოესუნთქა ჯანმრთელობის სუნი ანაზდად,
მუდამ დაბურულს გაუვალი ფიქრების ტევრით
შენს დალლილ გულმკერდს ... აი, ახლა რას ვისურვებდი!

და რომ ედინა ქრისტიანულ შენს სისხლს სხეულში
რიტმულ ნაკადად,
ვით უძველეს ხმას, ურიცხვ მარცვალს ანტიკურ ბგერის,
სადაც ბატონობს სიმღერების მამა-ფებოსი
და დიდი პანი,
სიუხვის და მოსავლის ღმერთი.



კატა

აქ მოდი, ლამაზო კატავ,
მოყვარულ ჩემს გულზე დაწექი,
ჩამჭიდე თათები, კლანჭები
და ნება მომეცი, რათა
ვუმზირო შენს ლამაზ თვალებში
ჩაძირულ რკინას და აქატს .

როცა ნებივრობ და გეფერები
თავსა და ზურგზე - ელასტიურს,
როცა მთვრალია ეს ხელები
და თითებს სიამოვნებს, რომ ეხები
შენი სხეულით - ელექტრულით,
მაშინ ცხადად ვხედავ ჩემს ქალს,
კეთილო ცხოველო, მისი მზერა
ძალიან ჩამოჰგავს შენსას.

ისიც ცივია და უძირო
და ისიც ბასრი ისრით მსერავს.
თავით ფეხებამდე იდუმალი,
მსუბუქი იერით, ელფერით,
თავის ყავისფერი სხეულიდან
საშიშ სურნელების მფრქვეველი.

ცუდი ბერი

ძველ მონასტრებს დიდ კედლებზე
დაფა ჰქონდა, ღირსეულს
ზედ აწერდნენ - თვალსაჩინო - წმინდა ჭეშმარიტეპა!
და ეფექტიც: ის ათბობდა ღვთისმოსავთა შიგნეულს,
ასკეტიზმის მკაცრ სიცივეს სულში ის არბილებდა.

იმ დროს, როცა ქრისტეს სიტყვა
კეთილ თესლად აყვავდა,
ერთზე მეტი სათნო ბერი მონასტერში არ ჰყავდათ,
ვინც შექმნიდა სახელოსნოს სასაფლაოს მინდვრებთან
და თავისი სისადავით სიკვდილს განადიდებდა.

ჩემი სულიც საფლავია, ჰგავს უვარგის ბერებს,
ვმოგზაურობ, ვცხოვრობ მწირი მარადისის მერე,
არაფერი არ ამშვენებს ჩემს მონასტრის კედლებს.

სევდა მაქვს და სიღატაკე, ო, ზარმაცო ბერო!
ამ ტანჯვისგან ცოცხალ სპექტაკლს როდის გააკეთებ?
მალე მინდა დავინახო,
დავინახო მინდა
სიყვარული - თვალებიდან, საქმე - ხელებიდან.

გედი

ვიქტორ ჰიუგოს

/

ანდრომაქე, თქვენზე ვფიქრობ! ეს პატარა მდინარე,
დღეს სარკეა სევდიანი, სადაც უნინ ბრნყინავდა
თქვენი დიდი ტკივილები და ქვრივობის სიმწარე,
ცრუპენტელა სიმოისმა, თქვენი ცრემლით მდიდარმა,
კარუსელს რომ ჩავუარე, მისმა უცხო ფერებმა,
უცებ ააფორიაქა ჩემი მეხსიერება.

დღეს პარიზი სულ სხვა არის, გაქრა ძველი ქალაქი,
ვაი, რომ სწრაფად იცვლება, კაცის გულზე სწრაფადაც,
მხოლოდ ნარმოსახვით ვხედავ ქოხმახებს და ბარაკებს,
კაპიტელების, სვეტების გროვებს ვეღარ გაფანტავ,
გუბის წყლით გამწვანებული დიდი კვარტლის ბალახი,
უწესრიგო „bric-a-brac“-ი ფილაქანზე ნანახი.

იქ ოდესლაც, გზის გადასწვრივ, ზოოპარკი იყო და,
იქ მეც ვცხოვრობ და ერთ დილას,

ჯერ კიდევ რომ ციოდა,
სამუშაო ალვიძებდა მძინარ ქალაქს თანდათან,
გრიგალივით იჭრებოდა ხმები ნაგვის გამტანთა,

სწორედ ამ დროს გალიიდან ერთი გედი გაიქცა,
თავის მოზრდილ, ბრტყელ ტერფებით,
თითქოს წმენდდა ქვაფენილს
და თეთრ ბუმბულს მიათრევდა ოლროჩოლროდ გაფენილს.

უწყლო ნაკადულთან ახლოს მან გააღო ნისკარტი
ფრთები მტვერში დაიქნია, ნერვიულად იბანდა,
მერე თავის მშობლიურ ტბას მთელი გულით მიმართა:
„ცაო, როდის დაიჭექებ და იწვიმებ, მითხარი?»

ამ უცნაურ მითს მე ვხედავ, საბედისწეროდ ჩემდა,
ზოგჯერ ოვიდის კაცივით, იგი ცის გასწვრივ ჩნდება,
ულმობელად ლურჯი ცისკენ, ირონიულად იწევს,
ჭიმავს გაუმაძლარ თავს და თავის გაღუნულ კისერს,
თითქოს უბედური გულით,

ღმერთს საყვედურს უთვლიდეს!

//

პარიზი კი... მაგრამ გულში ნაღველი არ იცვლება,
ახალი სასახლეა თუ ძველი უბნის ფონია,
ჩემთვის უკვე ყველაფერი ხდება ალეგორია
და ჩემი მოგონებები კლდეზე უფრო მძიმეა.

ლუვრის წინაც, მე ასევე, მტანჯავს ერთი სურათი:
ჩემს დიდ გედზე ვფიქრობ მუდამ, იმის გიუურ უესტებზე,
დევნილივით სასაცილოს ერთი რამ სურს გულამდი,
სურვილისგან გატანჯული, ისევ სურვილს ეძებდეს...

ანდრომაქევ, ქმრის მკლავიდან დაბლა ჩამოვარდნილო,
ბრწყინვალე პირუსის ხელქვეშ, პირუტყვო საძაგელო,
ხარ მოხრილი ექსტაზისგან, ცარიელ საფლავებთან...
ვაი, შენ ჰექტორის ქვრივო! ცოლო ელენუსისა!

მე ისევ ზანგ ქალზე ვფიქრობ, გამხდარ - გამოფიტულზე,
ტალახს ტკეპნის, მაგრამ თვალი აფრიკისკენ უჭირავს,
ქოქოსს ეძებს, უსასრულო ნისლის კედელს ის უვსებს,
ვინმეს, ვინაც ის დაკარგა,

რაც მის სუნთქვას აცოცხლებს,
და ვინც იცის, რომ დაკარგულს, ვერ ჰპოვებს ვერასოდეს!
კარგ მგელივით ვინც ცრემლს ასმევს

და ტკივილებს აწოვებს
ყველა ობოლს ყვავილივით გამხმარსა და საბრალოს.

ტყეში, სადაც ჩემი სული გადასახლდა დაღლილი,
რეკს ძველი მეხსიერება ჩაბერვაზე საყვირის,
ვფიქრობ კუნძულზე დარჩენილ მეზღვაურის ღელვაზე,
ტყვეებზე, დამარცხებულზე! ...
ამის გარდა ბევრ რამეს!



სიკვდილის ცეკვა

ერნესტ კრისტოფს

ცოცხალს ჩამოჰყაუს ამაყი და დიდგვაროვანი,
ხელთათმანებით, თაიგულით, სახის ოვალით,
გულგრილს, კოპწიას, ხელთ უპყრია მას ცხვირსახოცი,
ექსტრავაგანტურ აღნაგობით მნახველს აოცებს.

ვინმე, ოდესმე უფრო წვრილ წელს მეჯლისზე ნახავს?
სამეფო კაბას - დიდებულად განფენილს განზე,
უხვად ეშლება ნაკეცები მის ტერფებს გამხდარს
და ეფინება ყვავილივით ლამაზ ფეხსაცმელს.

ისე თამაშობს მაქმანები ლავინის გასწვრივ,
თითქოს ავხორცად ლოკავს კლდეებს მთის ნაკადული,
როს სასაცილო ხუმრობებით არის გართული,
ის მორცხვად მალავს სატყუარას, პირქუშს და სასტიკას.

ლრმა ღიობები წყვდიადისა - მისი თვალები,
თავი, ბურვილი არტისტულად ყვავილთა კონით,
სათუთად, ნაზად რომ ირხევა მის სუსტ მალებზე,
ო, თან სდევს ხიბლი არყოფნისა, სიგიჟით მკობილს.

ვერვინ გაბედავს რომ უწოდოს კარიკატურა,
შეყვარებულებს ხორცით მთვრალებს ვერ უგებს ვინაც,
სახელი არ აქვს სინტიფეს კაცთა ნატურის,
ჩემს გემოვნებას, დიდო ჩონჩხო, ვინც მოსწონს, ის ხარ.

მოდიხარ მძლავრი გრიმასით და თვალთმაქც სიფიცხით,
გსურს რომ ჩაშალო აქ ზეიმი, ლხინი სიცოცხლის ?
იქნებ რაიმე სურვილი გყლავს, რითაც იწვოდი,
სიამოვნების შაბათისკენ კვლავ ის გიბიძგებს?

სანთლების შუქზე, ვიოლინოს უნაზეს ხმაში,
ფიქრობ გაექცე წყეულ კოშმარს სულ რომ თან გდევდა?
იქნებ მოდიხარ ორგიების ძველ ნიაღვარში
გულში მბჟუტავი ჯოჯოხეთის გასაახლებლად?

სისულელის და შეცდომების ჭა ხარ უძირო,
მარადიული შენ ხარ სიპრძე – ძველი ტკივილის,
შენი ნეკნების მეშვეობით უნდა ვუმზირო,
ჯერ კიდევ ცოცხლად მოწრიალე, მღელვარე ასპიტს.

სიმართლე გითხრა, ვშიშობ, რომ ეგ კეკლუცი ფლირტი
და ეგ მცდელობა ვერ პოულობს საკადრის ჯილდოს,
მოკვდავ გულთაგან ვერვის შეძრავ - დაცინვით, ქირდვით,
საშინელება მხოლოდ ძლიერთ აწამებთ, ვიცი !

შენი თვალები ავსებულნი ამაზრზენ ფიქრით
გონებას ურევს, თავრუს ახვევს მოცეკვევებს,
ზიზღის გარეშე ვერ განჭვრეტენ ყველაზე ფრთხილნიც
ოცდათორმეტი შენი კბილის ნარუშლელ ღიმილს.

მაგრამ, ვინც გულში არ ჩაიკრა ეგ ჩონჩხი ბნელი,
ვინაც არ იღებს საფლავის ნივთს და სულერთია,
ეს სუნამოა, სამკაული თუ ტანსაცმელი?

ვისაც შეზიზლდა ჩვენება, რომ მშვენიერია,
ცხვირის გარეშე დარჩენილო „ბაიადერავ“,
უთხარი ყველა მოცეკვავეს, ვინც ნაწყენია:

„ამპარტავანო საყვარლებო, ნაიარევნო,
ფერუმარილის ოსტატები ვერ გიშველიან,
მაინც სიკედილის სუნი აგდით, მუშკის ჩონჩხებო!

უთმო დენდებო, ჩამომჭკნარო ანტინოზებო,
შუშის გვამებო, თმაჭალარა არკის ბოზებო,
სიკედილის ცეკვა მოძრაობით სხეულს აგივსებთ,
ყველას წაგიყვანთ ბოლოს მაინც უცნობ ადგილზე.

და სენის ცივი ნაპირიდან – განგის ცხელ წყლამდი,
ხტუნავს ნახირი უდარდელი და მომაკვდავი,
ჭერის ნახვრეტში როგორც მაცნე ავი ამბავის
მოჩანს საყვირი ანგელოზის შავი, საზარი.

კაცობრიობავ, სასაცილოვ, სიკედილი მრუმე,
ხარობს მაგ შენი მანქვა-გრეხით და ჯამბაზობით
და ხშირად, როცა ის ამზადებს მირონის სურნელს,
თავის სიცილს და შენს სიგიჟეს ერთურთში ურევს!

ღვინის სული

ერთ საღამოს ბოთლებში ღვინის სული ამღერდა:
„ო, ძვირფასო, ბედკრულო, კაცო, შენსკენ მოვდივარ,
ჩემი შუშის ციხის ქვეშ და ალისფერ სანთლების,
ჟღერს საშენო სიმღერა - სინათლის და ძმობისა!

ვიცი ჩემი შობისთვის ცეცხლმოდებულ ბორცვებზე,
საჭიროა ოფლის ღვრა, მზეზე ტანჯვით ფაფხური,
მაგრამ სჯობს სულს ფეშქაშად
მკერდს საფლავად მომცემდე
და აღარც მე ვიქნები მავნე და უმადური.

რადგან, როცა ვეცემი ყელში ადამიანებს,
დასუსტებულს შრომისგან არ ვინდობ არაფერში,
ვგრძნობ უზომო სიხარულს, მათ მკერდს ვანაგვიანებ,
ყოფნა მომწონს სხეულში, განა ცივ სარდაფებში.

კვირაობით გსმენია მისამღერი ნაჩვევი?
იმედი რომ ჟღურტულებს აღელვებულ მკერდიდან?
ჰოდა, ჭიქა ასწიე, თავს შეხედე გვერდიდან,
განმადიდე და ბოლოს კმაყოფილი დარჩები.

გაბრწყინებულს გაჩვენებ ცოლის თვალებს ნაფერებს,
შენს შვილსაც დავუბრუნებ თავის ძალას და ფერებს,
სუსტი ათლეტისათვის მე გავხდები ცხოვრების
ელექსირი, ძვალს და კუნთს აძლიერებს რომელიც...

მცენარე ამბროსიად ჩავვარდები მე შენში,
როგორც თესლი ჩაყრილი- უკვდავი მთესველისგან,
როგორც უცხო ყვავილი, ღმერთის გაწვდილ ხელებში,
პოეზია გაჩნდება ჩვენი სიყვარულისგან.

მარცხი

ასეთი მძიმე წონის ასაწევად,
სიზიფევ, საჭიროა შენი სიმხნე!
თუმცა, გული მიგვაქვს ამ საქმესთან,
Art-ი გრძელია და დრო არ ითმენს.

შორს...ცნობილ საფლავების გარეშე,
მარტოდმყოფ სამარხის გარშემო,
ეს გული, აბრეშუმის დოლივით
ძგერს სამგლოვიარო მარშებზე.

აქ სძინავს უამრავ ძვირფას განძს
დავინყებასა და წყვდიადში,
ჩათვლიმეს სიბნელის წიაღში,
წერაქვი, ზონდები შორს დარჩა.

აქ ბევრმა ყვავილმა მიანდო
სინანულს უტკბესი სურნელი,
დაინთქა ღრმა მარტოობაში
მათი საიდუმლო უთქმელი.



ლეში

გახსოვს, ჩემო, იმ ზაფხულის, მშვენიერ და ცინცხალ დილას,
უცებ გვამს რომ გადავაწყდით მოსახვევში, ზედ გზისპირას.
სამარცხვინოდ მიტოვებულს, ქვეშაგებად ქვები ჰქონდა,
ფეხები კი აშვერილი დარჩენოდა ვით ავხორც ქალს.

ცინიზმს ჰგავდა დაუდევრად გადახსნილი გულ-მუცელი,
მწველ სიცხეში სუნს აფრქვევდა - ოფლითა და შხამით სველი.
მზის სხივები დამპალ სხეულს საბოლოოდ წვავდა, შლიდა,
კვლავ ბუნებას უბრუნებდა თავის პირმშოს ის ასწილად.

ყვავილივით გადაფურჩქვნილს უცნაურ ჩონჩხს ცა დასცექრდა,
სიმყრალე კი იყო მძაფრი, ის ბედკრული რომ აფრქვევდა,
ზედ ბუზები დასეოდნენ, გახრწნილ სტომაქს ჭამდა მატლი,
ძონძებიდან შავი მასა - წვეთდა, როგორც სითხე ბლანტი.

ყველაფერი ქაფიანი ტალღასავით დუღდა მძიმედ,
თითქოს სუნთქვა ჩაპბერეს და გვამი ისე გაასივეს.
თითქოს ისევ საკუთარ თავს ამრავლებდა და ცოცხლობდა,
და მუსიკას ქმნიდა უცხოს, ის სამყარო დარჩა ხსოვნად.

ის ბგერები უცნაური მორაკრაკეს ჰგავდა წყლის ხმას,
ცხავზე მარცვლის რიგმულ ჩხრიალს,
ქარის შრაშუნს დილა სისხამს.
და ქრებოდა ყველა ფორმა- არაფერი აღარ იყო,
ჩანახატი იქცა სიზმრად, მივიწყებულ მხატვრის ტილოდ,

რომელსაც ის დაასრულებს მხოლოდ ნაოცნებარ ფერით,
მხოლოდ მესსიერებაში დარჩენილი მოგონებით.
კლდეებს მიღმა ღრენდა ძალლი და გვიმზერდა ავი თვალით,
ის ეძებდა მომენტს როცა აიხდენდა თავის წადილს

და ლეშიდან გადმოვარდნილ პირს სტაცებდა ხორცის ნაჭერს.
ამ საზარელ ინფექციას, სიბინძურის ამ მყრალ ნარჩენს
ერთხელ თქვენც დაემსგავსებით, წინააღმდეგ ამ ნებისა,
ჩემი თვალების ვარსკვლავო, მზეო, ჩემი არსებისა.

დიახ ! ასეთი იქნებით, დღეს სიკეთის დედოფალო,
ანგელოზო ჩემი სულის, ჩემო ვნებავ, ჩემო თვალო!
მაშინ როცა დაასრულდება კურთხევა და ზეთისცხება,
ყვავილების, ბალახის ქვეშ ეგ სხეული გაიხრწნება.

პოდა, მაშინ, ჩემო მზეო, როცა მიწა კოცნით შეგჭამს,
მას უთხარი რომ ეს მე ვარ, არ გაქციე ვინაც ლეშად,
სხეულით და სულით ცოცხლობ, უკვდავების გშვენის გარსი,
ჩემმა მუზამ შეინახა ლვთაებრივი შენი არსი.



მოჩვენება

I

წყვდიადი

დამაბინავა აკლდამაში უძირო სევდის
ბედისწერამ და ვარ ღამესთან პირისპირ მარტო,
აღარ არსებობს ვარდისფერი სხივები ჩემთვის,
პირქუში მდგმური სიხარულის ნამცეცებს ვნატრობ.
მე ვგავარ მხატვარს, ვისაც ღმერთმა უღვთოდ დასცინა
და მიუსაჯა რომ წყვდიადის მოლბერტზე ხატოს.
ვით მზარეული სასონარმკვეთ, ბნელი სურვილით
ვხარშავ და ვჭამ მე საკუთარ გულს მკვლელი მხეცივით,
დროდადრო ჩნდება ამ უკუნში მზით შებურვილი,
აჩრდილი ქალის - მშვენიერი და დახვეწილი...
ის მეოცნებე, ვით ციალი აღმოსავლეთის,
თვალწინ იზრდება, ლამაზდება, იერით მშვენი
და მე უმაღ ვცნობ თუ ვინ არის სტუმარი ჩემი:
ეს ის ქალია! შავი, მაგრამ მანათობელი.

II

სურნელი

მკითხველო, ამოდ შეგისუნთქავს როსმე ნამთვრალევს,
სურნელი მუშკის ან საკმევლის ტაძარს რომ ავსებს?
ისე აცოცხელებს ეს სურნელი აწმყოში წარსულს,
რომ ჯადოსნური ხიბლით ტკბობა
დასრულდეს - არ გსურს.

თითქოს კვლავ ცხადად ელტვის სატრფო საყვარლის
სხეულს

და კრეფს ხსოვნაში მივიწყებულ ყვავილებს რჩეულს.
მის ელასტიურ, მძიმე თმებსაც ეს სუნი ჰქონდა,
აფრქვევდა ველურ და ცეცხლოვან რაღაც არომატს
და ტანსაცმელი მუსლინის თუ ხავერდის ეცვა,
მთლად გაუღენთილი ახალგაზრდულ სურნელით ბეწვი.

III
ჩარჩო

როგორც კარგ ნახატს აგვირგვინებს ჩარჩო ლამაზი,
თუნდაც ფერწერა სანაქებო იყოს ისედაც,
როს უზარმაზარ სამყაროსგან ყოფს და საზღვრავს ის,
სურათი უფრო მომხიბვლელი შარმით ივსება.
ზუსტად ამგვარად - სამკაული, ოქრო და ვერცხლი,
რაც მას ემოსა, ვერ ჩრდილავდა მშვენებას მასში,
მის სრულყოფილ შუქს ის ავსებდა უფრო მეტ ცეცხლით
გარს ევლებოდა და უსაზღვროს საზღვრავდა გარსით.
ზოგჯერ ამბობდნენ, რომ სჯეროდა თითქოსდა იმის,
რომ ყველას სურდა ტრფიალი და სიშიშვლე მისი
და ნებდებოდა აქხორცული განცხრომით ნაცნობს,
კოცნების ზღვაში მოლივლივე ატლასის საწილს
და ყველა მისი მოძრაობა - სხარტი თუ ზანტი,
საცნაურს ხდიდა სილამაზეს ბავშვურ სიანცის.

პორტრეტი

ავადმყოფობა და სიკვდილი ცეცხლს ფერფლად აქცევს
დიდრონ თვალთაგან, ჩვენთვის ვნებით
ნანთებს და ნაგზებს.

ასე მხურვალე, ასე ნაზი, ტუჩების ალმურს,
რომლის შეხება ნეტარებით ახრჩობდა ამ გულს.
იმ კოცნებიდან, სიცოცხლეს რომ აძლევდა გემოს,
მოძრაობიდან მზის სხივების რომ ახლდა ელდა,
მითხარ, რა რჩება? არაფერი, ო, სულო ჩემო!
მკრთალი ნახატი სამი ფანქრით, სხვას რალას ხედავ?
და ისიც კვდება ჩემებრ მარტოდ და ჩემებრ კენტად...
დროვ - ულმობელო, დამცინავო, თუმც მიგებ მახეს,
სიცოცხლისა და ხელოვნების ბოროტო მკვლელო,
ჩემი ხსოვნიდან შენ ვერ წაშლი იმ ხატს და სახეს,
ვინც იყო ჩემი სიხარული და სიამაყე !



სასაუბრო...

თქვენ ხართ, ძვირფასო,
შემოდგომის ცა, მშვენიერი...
ისე ნათელი, ვარდისფერი, რომ არც კი სცოდავთ.
ჩემში კი ზღვაა მწუხარების
და მიქცევისას -
დამზრალ ტუჩებზე
მწარე სილის მიტოვებს ხსოვნას.

ამაოდ ცურავს თქვენი ხელი ჩემს გამხდარ მკერდზე,
ვეღარ იპოვნის, მეგობარო, რასაც ის ეძებს.
გაძარცვულია, დარბეული გულის ადგილი,
ქალის სასტიკი კლანჭითა და მძვინვარე კბილით.

ნუ ეძებთ ჩემს გულს,
ის მხეცებმა უკვე გადახრეს,
ის ახლა ბრბოსგან გათელილი არის სასახლე:
იქ ვსვამთ, თავს ვიკლავთ, თმას ვიკეთებთ,
მოკლედ... აღარ ღირს,
ძებნა იმისა, რაც, ძვირფასო, უკვე არ არის!

მიმზიდველია ეგ ნატიფი, შიშველი ყელი
და მის გარშემო ნელსაცხებლის ნაზი სურნელი...
ო, სილამაზევ, ხომ გწყურია ტანჯვე სულების,
ჰოდა, გაათბე, ცეცხლოვანი შენი თვალებით,
დღესასწაულად რომ ბრწყინვენ ღამის ბახუსზე-
ეს ნამსხვრევები, რაც გადარჩა
მხეცთა ნამუსრევს.

შექცევადობა

ხალისით სავსე ანგელოზო, შენ იცნობ ნაღველს?

სირცხვილს, სინანულს, გულის ტკენას,

ცრემლი რომ ახლავს?

გიგრძვნია შიში შემზარავი ღამე რომ გახვევს,

გულს რომ გიკუმშავს და გიჭმუჭნის,

ვით ნაგლეჯ ქალალდს,

ხალისით სავსე ანგელოზო, შენ იცნობ ნაღველს?

სიკეთით სავსე ანგელოზო, სიძულვილს იცნობ?

მუშტებს რომ კრუნჩხავ ბოლმისაგან

და თავს ვეღარ ძლევ,

ჯოჯოხეთური შურისგება ქცეული მიზნად,

რომ შეგიპყრობს და გათამაშებს თავის წებაზე,

სიკეთით სავსე ანგელოზო, სიძულვილს იცნობ?

სიცოცხლით სავსე ანგელოზო, გიგრძვნია ჟრუოლა,

რომელიც ფერმკრთალ ჰოსპისების ყრუ კედლებს აკრავს,

ძლივს მოლასლასე ავადმყოფთა მტანჯველი ზაფრა,

უხმო ჩიფჩიფით რომ ეძებენ მზეს სადღაც გამქრალს,

სიცოცხლით სავსე ანგელოზო, გიგრძვნია ჟრუოლა?

თქვი მშვენიერო ანგელოზო, სიბერეს იცნობ??

და ნაოჭების თანამდევი შიში თუ გიპყრობს?

ნარმოიდგენდი იმ თვალებში ტანჯვის წაკითხვას

სურვილს გიკლავდნენ ხარბი უინით რომელნიც დიდხანს?

თქვი, მშვენიერო ანგელოზი, სიბერეს იცნობ?

ო, ანგელოზო, სიხარულით, სინათლით სავსევ,
როცა დავითი სარეცელზე იყო სიკვდილის,
შენი სხეულით აღტაცებულს ეს სურდა ძალზე,
დაპრუნებოდა ჯანმრთელობა და სიჯანსაღე,

მე კი სხვას შენგან არას ვითხოვ, მარტოდენ ლოცვებს,
ბედნიერებას ახლა ვიცი მარტო ეს მომცემს...
ო, ანგელოზო, სიხარულით, სინათლით სავსევ!



სულიერი გამოღვიძება

როცა გარყვნილთა სახლებს დილის რიურაჟი სტუმრობს,
თითქოს ეცემა შუქი ბნელში მღრღნელების სოროს
და მენამული სხივი იდუმალია უფრო,
აღვიძებს უხეშ სულში ანგელოზი რომ ცხოვრობს.

შურისძიებას მოჰვავს, მისი მადლი და სითბო,
დაცემულ კაცისათვის ნატვრა ტანჯვაა თითქოს,
სულიერ ლაუვარდების უცებ ეხსნება ფარდა
და მიუწვდომელ ზეცას ელტვის უფსკრულის დარად.

ჰოდა, ძვირფასო, ჩემო წმინდავ, ჩემო ქალღმერთო,
თავანწყვეტილი ორგიების ჩამწვარ ნარჩენზე,
შენი ხატება ჩემს ხსოვნაში მზეებრ აღენთო,
სულ თვალწინ მიდგას და არ მინდა როსმე არ ჩანდეს.

მზე მუდამ ბინდავს ბრწყინვალებით ყველა სანთლის ალს,
სწორედ ასეა ჩემთვის შენი მარადი ლანდი,
მას ძლევამოსილს, მოზეიმეს, მუდამ საფიცარს,
მარტოდენ უკვდავ მზის ბრწყინვალე სულს თუ შევადრო.

საღამოს ჰარმონია

აი, მოდის დრო, როცა ლეროს ნარნარი რხევით,
ყველა ყვავილი ვით გუნდრუკი, ნაზ სურნელს აფრქვევს,
არომატები და ბგერები ერთმანეთს ხვდება,
მელანქოლია ნელი ვალსის და თავბრუსხვევა...

ყველა ყვავილი, ვით გუნდრუკი, ნაზ სურნელს აფრქვევს
და ვიოლინო კვნესის, როგორც ტანჯული გული,
საკურთხეველს ჰგავს - ცა მშვენიერ სევდით ნაბური,
მელანქოლია ნელი ვალსის თავბრუს რომ გახვევს.

და ვიოლინო კვნესის, როგორც ტანჯული გული,
გული, რომელსაც სძულს არყოფნა - ბნელეთის პირმშო,
საკურთხეველს ჰგავს - ცა მშვენიერ სევდით ნაბური,
მზემ მის გაყინულ, უგრძნობ სისხლში თავი დაიხრჩო.

გული, რომელსაც სძულს არყოფნა - ბნელეთის პირმშო,
ცდილობს წარსულში მოაგროვოს ყოფნის ნარჩენი!
მზემ მის გაყინულ, უგრძნობ სისხლში თავი დაიხრჩო.
ჩემში კი ბრწყინავს, ვით ბარძიმი ხატება შენი!



კატები

შეყვარებულებს ერთმანეთის ერთგულთ და მსურველთ
და მეცნიერებს მკაცრი ყოფით უკვე დაღლილებს,
სიმწიფის ასაკს მიღწეულებს ხშირად სურთ თურმე,
ჰყავდეთ კატები - საამაყოდ მათი სახლების.

მათებრ მცივანა, ერთ ადგილზე ჯდომის მოყვარე,
მახვილი ჭკუით და სინაზით ჩანს გულს უხარებთ.
ერთგულ მეგობრებს ვნებების და მეცნიერების,
უყვართ სიჩუმის და წყვდიადის წიაღთა ძებნა.

ეყოლებოდა ცხენის ნაცვლად კატა ერებუსას,
ამპარტავნება რომ აძლევდეს მას ამის ნებას!
განმარტოებით, მყუდრო ალაგს როდესაც წვანან,
კეთილშობილი პოზით დიად სფინქსებს მოჰვანან.

ნებიერ თვლემას ნებიერი სიზმრები ერთვის,
ნაყოფიერი, მაგიური უელავთ გავა...
გუგებს კი მსჭვალავს
ნაპერწკლები მისტიკურ ცეცხლის.



გაბზარული ზარი

რარიგ ტკბილია და რა მწარე დაბურულს ნისლით,
შორ მოგონებებს ცეცხლთან მჯდომი ღამეს რომ უთევ,
ზამთრის მწველ სუსხში, საიდანლაც ზარის ხმა ისმის,
შენში ნელნელა ის აცოცხლებს გარდასულ წუთებს.

რა უჭირს ამ ზარს, ძლიერი აქვს ჯერ კიდევ ყელი,
ძველს და დრომოქმულს შესაშური მხნეობა მოსდევს,
ერთგულად, ფხიზლად თავის საქმეს აკეთებს რწმენით,
როგორც მოხუცი ჯარისკაცი საგუშაგოზე!

ჩემი სული კი, გაიძიარა ამდენი შფოთით
და როცა ცდილობს ღამის სუსხი გაფანტოს მღერით,
მისი ხმა მოჰვავს სიკვდილისწინ დაჭრილის ხროტინს,
რომელიც ომში მხსნელს და მაშველს ამაოდ ელის...

რომელიც კვდება სისხლის ტპაში, უხმოდ და ობლად
და დავიწყებულს ზედ აყრია ცხედრების გროვა.

მიმზიდველი საშინელება

ამ უცნაურად გაფითრებული ციდან,
შენს მოუსვენარ ბედისწერას რომ მოჰვავს,
თავაშვებულო, რა იდეები ცვივა?
ცარიელ სულში გესმის რა აზრთა ბორგვა?!

ისევ ხარბი ვარ შეუცნობელის ძებნად,
ნყვდიადისაკენ ლტოლვა ჯერ არ მომწყინდა,
არ ვიწუნუნებ, როგორც ოვიდე ძეელად,
გაძევებული ლათინურ სამოთხიდან.

ცაო, დაცხრილულ ქვიშიან სრუტეს ჰგავარ,
ჩემს სიამაყეს ირეკლავ, როგორც სარკე,
შენს უზარმაზარ ღრუბლებს აცვიათ თალხი,
ჩემს აუხდენელ ოცნებებს ასამარებთ.

და შენი შუქი ანარეკლია, ვატყობ
ჯოჯოხეთისა, სადაც ეს გული ხარობს.



დღის დასასრული

სუსტი შუქის ქვეშ უმიზეზოდ ცეკვავს, ხარხარებს,
სიცოცხლე ურცხვი, მყვირალა და სულებს ახარებს,
როდესაც ადის ჰორიზონტზე ავხორცი ლამე,
ამშვიდებს შიმშილს, აქრობს სირცხვილს

და ცვლის ყველაფერს.

„ოჳ, როგორც იქნა, დადგა ეს დრო!“ - იტყვის პოეტი,
ჩემი გონიერაც და სხეულიც ახლა მოელის

მხოლოდ სიმშვიდეს, დასვენებას ღამის წკვარამში,
მწუხარ ოცნებით სავსე ამ გულს უნდა ვეფერო,
ზურგზე დავწვები, გავეხვევი შენს შავ ფარდაში,
ეჳა, წყვდიადო, მაცოცხლებელო!



ხელოვანთა სიკვდილი

რამდენჯერ ვრეკო ლოდინით ზარი
და ვკოცნო შენი დაბალი შუბლი,
რომ მოვიხელთო სულის მიზანი,
მისტიურ არსის ნათელი შუქი,
კარიკატურავ, პირქუშო, მითხარ,
კაპარჭი მარცხის მეჭიროს დიდხანს?
რამდენჯერ უნდა დავკარგო შუბი?

ჩვენ ვაზიანებთ საკუთარ სულებს
სუსტი, ცბიერი შეთქმულებებით,
მრავალ ჩარჩოებს ვსპობთ და ვასრულებთ,
ამ მძიმე გზაზე ასგზის ვევნებით,

ვიდრე ვიხილავთ დიად ქმნილებას,
რისთვისაც ყოფა დაგვიღირდება,
რისი სურვილიც ჯოჯოხეთური
გვავსებს ქვითინით და საყვედურით.

იყვნენ ისეთნიც, რომ არ ეღირსათ
ხილვა ამ კერპის ასე ნანატრის,
შერჩათ მარტოდენ წყევლა, შერისხვა
და ერთადერთი იმედი ხვალის.

რომ როცა მოვა, ვით მზე ახალი
სიკვდილი თავის მაღალ წოდებით,
ის გააბრწყინებს ჩრდილში ნახარებ
დიად ყვავილებს მათი გონების.

უცნაური ადამიანის ოცნება

A. F. N.

შენ იცი გემო, მეგობარო, ტკბილი ტკივილის?
„უცნაურია!“ თუ ამბობენ შენზე, ჩემსავით?
გამიჯნურებულ ჩემს სულს ახსოვს, ერთხელ სიკვდილი
დავაპირე და ბოროტება ვიგრძენ მგესლავი,
როს შიშის ზარი შეერია ჩემს შავბნელ წადილს.

კაეშანს ნავსი იმედისა ერწყმოდა და სულს
არ შერჩენოდა ამბოხის და ჯანყის მისხალი,
ქვიშის საათი იცლებოდა და ამ ფიცხელი,
ტკბილ-მწარე ტანჯვით ბედისწერის მიერ დაღდასმულს,
სულ უფრო მეტად მაშორებდა მშობლიურ წარსულს.

და იმ ბავშვს ვგავდი, რომ სწყურია სპექტაკლის ხილვა,
ფარდის აწევას რაც აბრკოლებს, მას ზიზღს უმატებს,
ბოლოს კი სცენამ გააშიშვლა მწარე სიმართლე:

მე მკვდარი ვიყავ! საშინელი ურვით ნაფერი,
ირგვლივ წვებოდა განთიადი მძიმე ლოდივით,
„მხოლოდ ეს იყო? სულ ეს არის, სხვა არაფერი?
ისევ ფარდები აწეული...ისევ ლოდინი!!“

მიწის მხვნელის ჩონჩხი

I

ანატომიის ტაბულებზე ანტიკურ ხაზის,
ნავსადგურებზე უწესრიგოდ მტვერში რომ ყრია,
სადაც არაერთ მკვდარ წიგნს სძინავს მუმიასავით,
ძველ ნახატებზე, მხატვრის ცოდნა რომ სჭვივის ღიად,
ვეზიარებით სილამაზეს - ნიჭით ნაზავებს,
თუმცა ეს თემა მწუხარებით მაინც გვაწამებს
და აქვე ვხედავთ დასრულებულ კოშმარს სევდიანს-
ბრეზენტით მოსილ, ჩამომხმარ და გაძვალტყავებულ
ჩონჩხებს, რომლებიც მიწის მუშებს დამსგავსებიან.

II

მიწიდან, ტანჯვით რომ ჩიჩქნით და რომ გექცათ ციხედ,
მიწის მუშებო, მწუხარენო, თავჩაქინდრულნო,
თქვით, რა უცნაურ, გამორჩეულ მოსავალს იღებთ?
კუნთები, ძვლები, ხერხემალი გეწვით ვის უფრო?
გადარჩენილნო სასაკლაოს, კატორლებიც,
თქვით, რომელ ფერმერს უვსებთ ბეღელს

დაღლილ ხელებით?

იქნება ცდილობთ რომ გვაჩვენოთ თუ ბედისწერა,
რარიგ საშინელ, რარიგ მძიმე ნიშნებით გვზვერავს,
სიკვდილის მერე საფლავებში ძილიც თუ ატყობთ,
როგორც დაგვპირდნენ არ ყოფილა მშვიდი, უსაფრთხო.
გამოდის, ჩვენთვის არყოფნაც კი არის მზაკვარი,
ყველა გვატყუებს, სიკვდილიც კი სიცრუით გვშეამავს,
იმედს არ ვკარგავთ, რომ გახდება მარად საკმარი
უცნობ მხარეში, მწარე მიწის პურივით ჭამა,
როდემდე უნდა ვთხაროთ იგი ამ მძიმე ბარით,
ჩვენი შიშველი, სისხლიანი ტერფების ძალით?

ფანტასტიური გრავიურა

ამ უჩვეულო მოჩვენებას უმალ ამჩნევენ,
არც მორთულობა, არც სამოსი ამკობს მის იერს,
ჩამოფხატვია სასაცილოდ შუბლზე ჩაჩივით,
მას დიადემა - კარნავალის, როგორც წესია.

არც დეზები აქვს, არც მათრახი ...და არ ჩერდება,
აპოკალიფსურ როსს გაგონებთ ცხენის ჭენება,
ნესტორებიდან ქაფი გასდის - როგორც ბნედიანს,
სივრცეს კვეთენ და მის სიღრმეში იძირებიან.

უსასრულობას სახიფათო ჩლიქით თელავენ,
ერთ არსად ქმნილან, წინ აღუდგეს - ბედავს ვერავინ,
ბრბოს მიაპობენ - უსახელოს, ბნელს და უწყინარს
და მხედარს ხელში აღესილი ხმალი უბრწყინავს.

ვით უფლისწული მოგზაურობს თავის მამულში,
გადასცექერს მიწას და ათასი ფიქრი აწვალებს,
სადაც მზის თეთრ და მოსაწყენ შუქს ბოლო არ უჩანს,
მიწას - ძველი და ახლანდელი ხალხის საძვალეს.



აქედან ძლიერ შორს

ეს არის ქოხი, ძალიან წმინდა
და ერთ გოგონას - პრანჭიას დიდად,
მშვიდს და მშვენიერს, ბედის ნებიერს,
შიგ მოუწყვია თავისთვის ბინა.

ცალ ხელში მას აქვს მუდამ მარაო,
მკერდს რომ ფართატით მიინანაოს,
მეორე იდაყვს ბალიშზე მოხრის
და აყურადებს წყლის ოხვრას ქოხი...

ეს დოროთეას ოთახი არის,
გოგო აუზში წყლის ტირილს უსმენს,
შორიდან მღერა ნიავის და წყლის,
ელამუნება სათუთად ყურზე.

და ეს მკვნესარე, ჩუმი სიმღერა,
შეუწყობელი ხმებში, ართობს მას,
სიოს მოაქვს და ნაზად ირწევა,
განებივრებულ ბავშვის საწოლთან.

ზეთს სურნელოვანს და ნელსაცხებელს,
სათუთი კანი შეიტკბობს მისი,
ყვავილები კი ვეღარ უძლებენ,
საამო სურნელს და გული მისდით.

შვიდი მოხუცი

ვიქტორ ჰიუგოს

ოცნებებით სავსე და მოფუთფუთე ქალაქი,
დღისით აქ აჩრდილების მხილველებიც გახდებით,
ირგვლივ მისტერიების სულ იღვრება ნაკადი,
სავსე, როგორც წყლის ტალღით ბუმბერაზი არხები.

ერთ დილასაც ნაღვლიან ქუჩას მიუუყვებოდი
და სახლები განელილ, მღვრიე ნისლში მძინარე
მაგონებდა სადგურებს ადიდებულ მდინარის,
მსახიობის სულს ჰგავდა რაღაცით ეს დეკორი.

ქუჭყიანმა, ყვითელმა ნისლმა სივრცე დატბორა,
მივდიოდი გმირივით დაჭიმული ნერვებით,
ვსაუპრობდი ჩემ თავთან, დაღლილს ძალაც არ მქონდა,
გარეუბანს არყევდა საზიდოების გამოვლა.

და უეცრად ბურუსში ბერიყაცი დავლანდე,
მოყვითალო ძონძებით იმ ცას ჰგავდა წვიმიანს,
გულმოწყალე იერი ჰქონდა თითქოს, მაგრამ მე
ბოროტება შევნიშნე მის თვალებში მანამდე...

გუგებიდან ღვარძლი და ბოლმა გადმოსდიოდა,
მისმა მზერამ გამყინა, სუსხით გამაცქიოტა,
ჰქონდა წვერი და თმები - მახვილივით უხეში,
შევხედე და მაშინვე გამახსენდა იუდა.

კუზიანი არ იყო, მაგრამ ჰგავდა გატეხილს,
ხერხემალი მიბმული სწორი კუთხით ფეხებთან
და ხელჯოხით, რომელიც იყო მისი საყრდენი,
აბიჯებდა საშინლად, ტლანქად, მოუხერხებლად.

კოჭლ ებრაელს მოჰგავდა - ოთხფეხივით საპყარი,
ეფლობოდა თოვლ-ჭყაპში მრუდე ფეხსაცმელებით,
თითქოს სრესდა ტალახში გვამებს - განახელები,
იყო მტრობით აღსავსე - სძულდა მთელი სამყარო.

ამ კაცს სხვები გამოჰყვნენ, მისი მსგავსი ასლივით,
წვერი, თვალი, ძონძები, ტანი მიწით გასვრილი,
როგორც ერთ ჯოჯოხეთში გაჩენილი ტყუპები,
ბაროკოს მოჩვენებებს ჰგავდნენ ყველა უკლებლივ.

რაღაც უცნობ მიზნისკენ მიმავალი დამწკრივდნენ,
ნეტავ ცამ რა იდუმალ შეთქმულთათვის გამწირა?
ან რა ბოროტ შემთხვევას სურდა ჩემი დაცინვა,
უკვე შვიდჯერ ვიზილე ორეული ამ კაცის,
ეს ავსული მოხუცი მრავლებლა ჩემს თვალწინ.

იმათ ვეტყვი, ვისაც დღეს ჩემი ძრწოლა აცინებს,
ვინაც ჩემი განცდები, ჯერ ვერ გაიზიარა,
დაიხსომეთ ეს შვიდი, ამაზრზენი მაცილი
იყო მარადიული, წამიერი კი არა...

თუ შევძლებდი რომ მერვეც დამენახა თამამად?
რომ არ მოვმკვდარიყავი გავუძლებდი მის მზერას?
ფენიქსს - მკაცრს და საზარელს, საკუთარ შვილს და
მამას?

მაგრამ ზურგი ვაქციე ჯოჯოხეთურ ამაღას...

დაზაფრული, შეძრული, შინ დავბრუნდი მთვრალივით,
რომელსაც ყველა ჩრდილი, ორეული ჰერნია,
ამღვრეული, წაშლილი, ვეღარ ვწყვეტდი ფორიაქს,
ვიყავ იდუმალებით და აბსურდით დაჭრილი.

ბევრს ეცადა გონება - საჭის ხელში ალებას,
მაგრამ გზა აუბნია მას ქარიშხლის თარეშმა,
ხტოდა სული, ბორგავდა, ხტოდა საზღვრებს არღვევდა,
ვით ბობოქარ ტალღებზე გემი ანძის გარეშე!



შემოდგომის სიმღერა

სულ ცოტა დარჩა, ცივ წყვდიადში ჩაგვძირავს უამი,
მშვიდობით, მოკლე ზაფხულების მცხუნვარე ზეცავ,
ეზოებიდან უკვე მესმის პირველი ჩქამი,
ქვაფენილებზე წაქცეული ხეების კვნესა.

ბრაზით, კანკალით, სიძულვილით შემოვა ჩემთან,
მძიმე ზამთარი და მოითხოვს დამქანცველ შრომას,
როგორც პოლარულ ჯოჯოხეთში მზე იტანჯება,
ლოდად იქცევა ჩემი გული, სუსხი გათოშავს.

კანკალით ვუსმენ ყველა ლეროს, ტოტის დაცემას,
უფრო ყრუ ექო ემაფოტის შენებას არ აქვს,
ჰგავს მძიმე დარტყმით გაბზარულ კოშკს ჩემი არსება,
რომელიც უკვე დანებდა და დაკარგა ძალა.

და შეძრნუნებულს ერთფეროვან დღეთა დინებით,
სულ მეჩვენება, თითქოს სადლაც კუბოს რანდავენ,
– ვისთვის? – ვკითხულობ,
 რატომ ჩქარობთ ამ დაუინებით?
– შემოდგომაა დღეს, ზაფხული იყო აქამდე!
ჰგავს ეს პასუხი იდუმალი - ხმას გამგზავრების...

//

მე მიყვარს თქვენი თვალებიდან მომწვანო შუქი,
ტკბილი მშვენება, მაგრამ დღეს ის მწარეა ჩემთვის,
არც ბუდუარი, არც ეგ კერა, არც სიყვარული,
არც მზის ციალი ზღვის ტალღებზე - არაფერს შეცვლის...

მიუხედავად ყველაფრისა, მინდა გიყვარდეთ,
სათუთო გულო! ბოროტის და უმადურისთვის -
მე გთხოვთ იყავით დედა, სატრფო ან და იყავით...
გთხოვთ, ეფემერულ სიტკბოდ დარჩით, თუმცა კი გიმძიმთ,
ამ დიდებული შემოდგომის, ჩამავალ მზისთვის.

საფლავი არსად გაიქცევა - დაგვიცდის ხარბად!
ნება მომეცით, რომ კალთაში თავი ჩაგიდოთ,
დავაგემოვნოთ სინანულით, ზაფხულზე დარდით,
ბოლო სეზონის ყვითელი და მსუბუქი სითბო.



სათამაშო

ძველი კურტიზანები გაცვეთილ სავარძლებში,
ალერსიან თვალებით, შეღებილი წარბებით,
ისევ იპრანჭებიან, სხვანაირად ვერ ძლებენ,
თხელ ყურებზე წკარუნობს ლითონი და აქატი.

მომწვანო ხალიჩასთან სხედან ფერმკრთალ ხელებით,
ტუჩზე ფერი არა აქვთ, ყბაზე კიდევ კბილები,
სახეები ჩამწვარი ჯოჯოხეთურ ცხელებით,
ჩხრეკენ ჯიბეს ცარიელს დაკრუნჩხული თითებით.

ბინძურ ჭერქვეშ ჭალების მკრთალი რიგი ირწევა,
უზარმაზარ კვინკეტებს თითქოს ესაუბრები,
ლამპის სუსტი ნათებით წამიერად იხსნება,
ცნობილი პოეტების მოღუშული შუბლები.

ისინი აქ მოდიან, ხარჯვა არ ეზარებათ
სისხლნარვეი ოფლის და ცოფიანი ხილვების,
აი, სწორედ ეს არის ღამის ბნელი ზმანება,
ნათელმხილველ ჩემს თვალებს რომ ახსოვთ და გიყვები.

მე თვითონაც აქ ვხედავ, ამ ბუნაგის კუთხეში
საკუთარ თავს, რომელიც მეძავებთან საუბრობს,
მათ ბნელ მხიარულებას და მათ ვნებას ჩაუქრობს
ვუმზერ გულწრფელი შურით - მუნჯი, ცივი, უხეში.

მხიარულად ვაჭრობენ და ხალისით მეხუმრნენ,
ერთი აქებს ძველ პატივს, მეორე - სილამაზეს!
და ეს გული შეშინდა ღარიბ კაცთა შემყურე,
ვისაც ვნება მხურვალე - სხვა გასაქანს არ აძლევს

თავის სისხლით მთვრალები, უფსკრულს გარს რომ უვლიან,
და ეს ტანჯვა - წამება სიკვდილამდე სწყურიათ.



შუადღის სიმღერა

შენი ცოტა ულამაზო წარბები,
გაძლევს იერს - უცნაურს და ამრეზილს,
ვერ ვიტყოდი რომ ანგელოზს მოჰვავხარ,
ეგ მაცდური თვალთა სხივი რომ არა.

მე გაღმერთებ, ო, გრძნეულო არსებავ,
მაქვს შენდამი სხვა ტრფიალი, სხვა გზნება,
თავს გევლები - სასურველს და საესავს,
ვით ქურუმი თავის კერპს და სალოცავს.

უდაბნოს და ტყის ველური სურნელი
აქვს შენს მძიმე, აბრეშუმის ნაწნავებს,
შენი თავი - საიდუმლო საცავი -
ბნელ აზრთა და გაუგებარ ურვების.

ტანს გევლება, როგორც ცეცხლი -საამო
არომატი ანდამატის მთოველი,
ხიბლავ მნახველს, როგორც თბილი საღამო,
როგორც ნიმფა ბნელი, მიუწვდომელი.

აჲ! ძლიერი სიყვარულის წამლები,
შენს ნებიერ სიზარმაცედ არ ღირან,
მოფერება იცი სულისწამლები,
გააცოცხლებ მკვდარს და მოკლავ ახლიდან.

თეძოები ვნებით დანაოსები,
შენი ზურგი, შენი მკერდი მაშინებს,
სიყვარულით მიბნედილი პოზებით,
აღტაცებით რომ აავსებ ბალიშებს.

ზოგჯერ ბრაზი მოგივლის და საჩუქრად,
ასჯერ მკბენ და მერე ნაკბენს მიკოცნი,
ასე მტანჯავ და მაწვალებ, შავტუხავ,
ასე ხდები შუქი ჩემი სიცოცხლის.

ჯერ უცნაურ ბრაზს ჩააქრობ, ტკივილით
თითქოს რაღაც საიდუმლოს მიაგნე,
მერე გულზე დამცინავი ღიმილით,
მთვარესავით ნატიფ თვალებს მილაგებ.

შენ გიტოვებ, ყველაფერი - შენია,
შენს ფეხსაცმელს, შენს ტერფებს ვანაცვალებ-
ჩემს სიხარულს, ბედისწერას, გენიას,
ჩემ სულს შენგან გადარჩენილ - ნაწამლებს.

ხარ ფერადი, მოპრიალე მზის სხივი
სითბოს წყარო ჩემი ბნელი ციმბირის...

ეპიგრაფი დაგმობილი წიგნისთვის

მე შენ მოგმართავ, წესიერო და უწყინარო,
თავდაჭერილო, მიამიტო მკითხველო, განზე
სჯობს მოისროლო ჩემი წიგნი წაუკითხავად,
თავაწყვეტილი ორგიებით და სევდით სავსე.

თუ შენ ჯერაც არ გისწავლია მჭევრმეტყველება
მზაკვარ მენტორთან - სატანასთან - ლიქნით და ტაშით,
მაში, გადააგდე ეს ნაჯღაბნი, ჩემს გახელებას
ვერას გაუგებ და უთუოდ შეშლილად ჩამთვლი.

მაგრამ თუ ძალუძს, ხიბლში რომ არ ჩავარდეს ისე
შენს მზერას ჩემი მღვრიე სულის უფსკრულთა ჭვრეტა,
მაშინ აიღე, წაიკითხე იგი და იგრძენ,
ცოდნის მძებნელი ჩემი სულის - ტანჯვა და სევდა,

ისწავლე ჩემი სიყვარული ამ ნიღბის მიღმა,
წადი მერე და გააგრძელე სამოთხის ძებნა,
გთხოვ შემიწყალე!
...თუ არადა, წყეულიმც იყავ!!!

ბოშათა მოგზაურობა

მისანთა ტომი, ცეცხლოვანი თვალებით მშვენი
გუშინ წავიდა თავის გზაზე და წაიყვანა
ზურგზე განძივით აკიდებული ჩვილი ბავშვები,
ზოგნიც ძუძუზე მიკრულები დროგამოშვებით.

კაცები ფეხით მიჰყვებიან დატვირთულ ურმებს,
დანარჩენები მოიკრუნჩხნენ ურმებზე წუხელ,
მალმალ ავლებენ ზეცას თვალებს - დამძიმებულებს,
არარსებული ქიმერების შესახებ სწუხან.

ჭრიჭინობელა ქვიშებიდან ხტის და ხმიანობს,
მათი შემყურე, აორმაგებს თავის სიმღერას,
ხოლო კიბელე* ზრდის სიმწვანეს, კლდეებს ფრიალოს
წყალს გამოადენს და აყვავებს გზას მათ იმედად.

მოგზაურები კი მიდიან... ლიაა მათთვის,
კარგად ნაცნობი იმპერია ბნელი მომავლის.

* კიბელე – დიდი დედა, ნაყოფიერებისა და მრავალშვილიანობის
ქალლმერთი ბერძნულ პანთეონში

იდეალი

თავსაბურავით მოკაზმული ლალი ტურფები,
კასტანეტებზე* დამკვრელივით უშნო თითებით,
არაზადების საუკუნის ნაშობ-მკვიდრები,
ვერ მოხიბლავენ ვერასოდეს, ამ გულს გპირდებით.

პოეტს ქლოროზით - მე გავარნის** ვუტოვებ სრულად,
ჰოსპიტალების ლამაზმანთა უღურტულა ფარას,
რადგან ამ ფერმკრთალ ყვავილთ შორის
მე არვინ მსურდა,
ნითელ იდეალს - ჩემს გულის ვარდს
არცერთი არ ჰეგავს.

ვინც მე მჭირდება, ლედი მაკბეტ, თქვენა ხართ მხოლოდ,
ამ უფსკრულივით უძირო გულს თქვენ ავსებთ ერთი,
ძლევამოსილი დამნაშავის სულს აფრქვევთ ბოროტს,
თვით ესქილესთვის, თქვენ იყავით ოცნების ღმერთი.

ან, დიდო ლამევ, შთაგონებავ მიქელანჯელოს,
უცხო პოზაში უმფოთველად რომ იგრიხები,
შენი მშვენებაც ბაგემ შექმნა დიდ ტიტანების.

* კასტანეტები – (ესპ.) დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი

** გავარნი – ფრანგი მხატვარი, სულპის გიორგი შევალიე

უფსკრულიდან ვყვირი

შენ გევედრები, შენ ერთდერთს, რომელიც მიყვარს,
გთხოვ შემიბრალე, ჩემი გული უფსკრულში გდია,
მრუმე და ბნელი პორიზონტი მოჰვავს ნატყვიარს,
აქ საზარელი ღმერთის გმობა და წყვდიადია.

ექვს თვეს ზემოდან მზე დაგვყურებს და სითბო არ აქვს,
შემდეგ ექვს თვეს კი დედამიწას უკუნი ფარავს,
თავის სიშიშვლით მოგაგონებთ პოლარულ მხარეს,
— არც ცხოველები, ალარც წყალი, არც ტყის სიმწვანე!

და სამყაროში არ არსებობს საშინელება,
გაყინული მზის სისასტიკეს რომ აღემატოს,
ძველ ქაოსს მოჰვავს უსასრულო ღამის ხველება,
მშურს უსაზარლეს ცხოველების ბედი და ვწატრობ,

რომ მეც შემეძლოს ჩავიძირო სულელურ ძილში,
რა ნელა ახვევს დროის გორგალს მტანჯველი შიში.

სარჩევი

ალიონი.....	5
ქერათმიან მათხოვარს	7
საღამოს პინდი	9
კაეშანი (...მოგონებები იმდენი მაქვს)	12
კაეშანი (...როცა ცა დაბალი მძიმე ხუფივით)	14
კაეშანი (...მე ვარ როგორც მარტოსული).....	15
სასჯელი ამპარტავნებისთვის	16
არყოფნის გემო	18
ფლაკონი	19
მკვლელის ღვინო	21
მე ვუმღერ შენს თმას...	23
ბუები	25
აკვიატება	26
საფლავი	27
უფსკრული	28
იკაროსის ჩივილი	29
ჰიმნი სილამაზეს	30
შეყვარებულთა ღვინო	32
აივანი	33
მშვენიერი ხომალდი	35
გამოსასყიდი	37
პეიზაჟი	38
მზე	40
პარიზელთა ოცნება	42
ნისლები და წვიმები	45
სიძულვილის კასრი	46
ტკივილის ალქიმია	47

ხმა.....	48
სიყვარული და თავის ქალა	50
ტყუილის სიყვარული	51
ბეატრიჩე.....	53
აბელი და კაენი	55
დუელი.....	57
კედლის საათი	58
ღარიბების სიკვდილი	60
ორი კეთილი და	61
სისხლის შადრევანი.....	62
მუსიკა	63
მხიარული მკვდარი	64
შეყვარებულთა სიკვდილი	65
რომანტიკული მზის ჩასვლა	66
*** (...მე შენ გაძლევ ამ ლექსებს).....	67
ყოველთვის იგივე.....	68
შხამი	69
მიპატიუება სამოგზაუროდ	70
*** (...მე შენ თაყვანს გცემ).....	72
ეგზოტიკური სურნელი	73
ვამპირი	74
მშვენიერება	75
კავშირები.....	76
ვენური მუზა	77
კურთხევა	78
ბრძები.....	82
გამვლელისადმი.....	83
ნიღაბი.....	85

დონ ჟუანი ჯოჯოხეთში	87
*** (... ტანზე მარგალიტისფერი კაბა)	88
გიგანტი	89
კაცი და ზღვა	90
ალბატროსი	91
წინა ცხოვრება	92
მოცეკვავე გველი	93
მთვრალი იყავი	94
მტერი	96
წარმართის ლოცვა	97
განადგურება	98
არ დამვიწყებია ქალაქის მეზობელი	99
ამაღლება	100
ალეგორია	101
ცოცხალი ჩირალდანი	102
სნეული მუზა	104
კატა	105
ცუდი ბერი	106
გედი	107
სიკვდილის ცეკვა	110
ღვინის სული	113
მარცხი	114
ლეში	115
მოჩვენება	117
სასაუბრო	120
შექცევადობა	121
სულიერი გამოღვიძება	123
საღამოს ჰარმონია	124

კატეგორი.....	125
გაბზარული ზარი	126
მიმზიდველი საშინელება	127
დღის დასასრული	128
ხელოვანთა სიკედილი	129
უცნაური ადამიანის ოცნება.....	130
მიწის მხვნელის ჩონჩხი	131
ფანტასტიური გრავიურა	132
აქედან ძლიერ შორს	133
შვიდი მოხუცი	134
შემოდგომის სიმღერა	137
სათამაშო	139
შუადღის სიმღერა	141
ეპიგრაფი დაგმობილი წიგნისთვის	143
პოშათა მოგზაურობა	144
იდეალი.....	145
უფსკრულიდან ვყვირი	146



კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფაძე

ყდის დიზაინი
ნანა ჯიქია

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ვახუშტი ბაგრატიონის №84
E – mail: meridiani777@gmail.com
ტ. 239-15-22

Bon à tirer
Ch. Baudelaire

LES FLEURS DU MAL

Quand la chose échappe aux instruments tristes,
D'une voix pressé contre les barreaux,
Et que les peuples dans l'horreur accapte,
Vient troubler ses fêtes au fond de nos cervelles.

143
Cassoulet, par Jarry

Planche

Des choses surviennent assez souvent
Qui nous rendent le cœur un peu triste,
Ainsi que des rapports étranges et sans cause
Qui se marquent à grande épidémie.

144
Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.
145
Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

146

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

147

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

148

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

149

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

150

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

151

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

152

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

153

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

154

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

155

Le coquelicot, sans empêcher la rose,
Qui nous rend la tête malade, est une fleur
Qui nous rend la tête malade plus que des roses.

156

FLEURS DU MAL

POÉSIES

PAR CHARLES BAUDLAIRE

magie

81



PARIS
DELTIEL-BALASSAN ET DE BROISE
LIBRAIRES-ÉDITEURS
1, rue de Poitiers

magie

15

DELTIEL-BALASSAN ET DE BROISE
LIBRAIRES-ÉDITEURS
1, rue de Poitiers

magie

15

DELTIEL-BALASSAN ET DE BROISE
LIBRAIRES-ÉDITEURS
1, rue de Poitiers

magie

15

DELTIEL-BALASSAN ET DE BROISE
LIBRAIRES-ÉDITEURS
1, rue de Poitiers

magie

15



9 789941 345630